

ადა ტაბატაძე

კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა
დაცვის საგამონაკლისო ღონისძიება და პასუხისმგებლობის
შეზღუდვის პრინციპიდან გადახვევა
(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2019 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი, ადა ტაბატაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ადა ტაბატაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის საგამონაკლისო ღონისძიება და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან გადახვევა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი:

თარიღი

რეზიუმე

კორპორაციული საფარველის შეზღუდვის პრინციპი განვითარდა ამერიკის შეერთებულ შტატების სასამართლოს მიერ და წარმოადგენდა სამართლებრივ ნოვაციას, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საკორპორაციო სამართლის შემდგომ განვითარებაზე. სასამართლოების მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფის დაშვება გამოწვეული იყო იმ შესაძლო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც კორპორაციული საფარველის თაღლითური და არამართლოზმიერი მიზნებით გამოყენებას უკავშირდება. სამართალმა არ უნდა დაიცვას და წახალისოს უკანონობა, შესაბამისად ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, კორპორაციული საფარველის გაჭოლვის გამოყენება გამართლებულია და წარმოადგენს პროპორციულ საშუალებას უსამართლობის აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად თავისი მიზნისა, კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საკითხი ფრთხილ მიდგომას საჭიროებს, ვინაიდან უკუაგდებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის მოქმედებას, რაც თავის მხრივ გავლენას ახდებს პოტენციურ ინვესტორთა გადაწყვეტილებებზე. ზოგადად დოქტრინა შესაძლებელს ხდის დადგეს პარტნიორთა და აქციონერთა პირადი პასუხისმგებლობის საკითხი კორპორაციის ვალდებულებებისთვის და შესაბამისად მის მოქმედებას აქვს როგორც სამართლებრივი, ასევე ეკონომიკური ეფექტი.

ნაშრომის მიზანია კორპორაციული საფარველის გაჭოლვის კონცეფციისა და მისი კორპორაციულ ურთიერთობებზე გავლენის ანალიზი, ასევე იმ წინაპირობების განსაზღვრა, რომელთა არსებობა შესაძლოა საფუძვლად დაედოს შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფას. აღნიშნული ინსტიტუტის ძალზე გაფართოებამ შესაძლოა წარმოშვას რისკები პოტენციური ინვესტორებისთვის, რომლებიც შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კორპორაციებთან შედიან ურთიერთობებში, სწორედ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მათი პასუხისმგებლობის ფარგლები დადგენილია და პროგნოზირებადია შესაძლო დანაკარგებიც. თუმცა მეორეს მხრივ ეკონომიკური ურთიერთობებისა და ბაზრის განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია სამართალმა კრედიტორებს და მესამე პირებს, რომლებიც სამართლებრივ ურთიერთობებში იმყოფებიან კორპორაციასთან, უზრუნველყოს ისინი უფლების დაცვის ეფექტური საშუალებით, როდესაც თავად კორპორაციას არ შესწევს უნარი დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ აქციონერთა და პარტნიორთა ქმედება უშუალო კავშირში იყოს იმ ზიანთან, რომლის ანაზღაურებას ითხოვენ კრედიტორები.

ნაშრომში განხილულია კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საკითხის რეგულირების გზები და საუკეთესო პრაქტიკა აშშ-სა და გერმანიის მაგალითზე. აღნიშნულის საფუძველზე პასუხი უნდა გაეცეს

კითხვას, როგორ შეიძლება საფარველის გაჭოლის ინსტიტუტის ინტეგრირება ეროვნულ სამართალში ისე, რომ არ დაირღვეს კორპორაციის დამოუკიდებელი სამართლსუბიექტობის არსი და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი და ამასთანავე კრედიტორები უზრუნველყოფილნი იყვნენ უფლების დაცვის ეფექტური საშუალებით.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული საფარველი, შეზღუდული პასუხისმგებლობა, საფარველის გაჭოლა.

Abstract

The principle of Piercing the Corporate Veil was developed by the Courts of the United States and represented the legal innovation, which had a great impact on the further development of the corporate law. Allowing the deprivation of limited liability by the courts was caused by the possibility of using the corporate form for fraudulent and misleading purposes. The law should not protect and encourage unlawful actions, and therefore the disregard of the corporate shielding is justified and is proportionate measure to eradicate injustice.

In spite of its aim, the issue of piercing the corporate veil requires a careful approach, because it limits the Limited Liability itself and in turn influences the decisions of the potential investors. Generally, the doctrine allows to held the partners and the shareholders personally liable for the debts of the corporation and therefore have both legal and economic effect.

The purpose of this work is to analyze the concept of Piercing the Corporate Veil and its influence on the corporate relations, also the determination of the basis for disregarding the Limited Liability. The expansion of this institution can generate risks for potential investors who are in the relations with the Limited Liability Corporations, for the reason of the corporate form and taking into consideration the fact that the scope of their liability is determined and the losses are predictable. However, on the other hand, for the development of the economic relations and the market, its important to provide the creditors and third parties, who are in legal relations with the corporation, with an effective measures of protection when the corporation is unable to perform their requirements. It is also important that the actions of the shareholders and the partners must be directly linked to the damages for creditors.

The work analyzes the ways of regulating the issue of Piercing the Corporate Veil and the best practice on the example of the US and Germany. On the basis of this, the main purpose is to answer the question about how to integrate the Piercing Veil Doctrine to the National Law in a way that does not violate the legal personality of the corporation and the principle of limited liability and provide the creditors with the effective measures of protection.

Key words: corporate shielding, limited liability, piercing the veil.

შინაარსი

I. შესავალი

1. კორპორაცია და კორპორაციის შეზღუდული პასუხისმგებლობა, როგორც არსებითი ელემენტი
 - 1.1. კორპორაცია და კორპორაციული საფარველის არსი
 - 1.2. პასუხისმგებლობის შეზღუდვის გავლენა კორპორაციულ ურთიერთობებზე
2. კორპორაციული საფარველის გაქოლვა, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან გამონაკლისი
 - 2.1. გამჭოლი პასუხისმგებლობის როგორც კრედიტორთა ინტერესების დაცვის საშუალება
 - 2.2. გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი სახელმწიკრულებო და დელიქტურ ურთიერთობებში
 - 2.3. გამჭოლი პასუხისმგებლობის მიმართება ზოგადსამართლებრივ პრინციპებთან
3. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლები
 - 3.1. გამჭოლი პასუხისმგებლობის მხარდამჭერი თეორიები
 - 3.2. გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრის ტესტი
 - 3.3. კორპორაციული საფარველის გაქოლვის ფაქტობრივი საფუძვლები
4. კორპორაციული საფარველის გაქოლვის ნორმატიული საფუძვლები და სასამართლო პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყნებში
 - 4.1. კორპორაციული საფარველის გაქოლვის საფუძვლები აშშ-ში
 - 4.2. კორპორაციული საფარველის გაქოლვის საფუძვლები გერმანიაში
 - 4.3. კორპორაციული საფარველის გაქოლვის რეგულირება საქართველოში

II. დასკვნა

I. შესავალი

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონე პირდაპირ კავშირშია საკორპორაციო სფეროში არსებულ ვითარებასა და მოქმედ რეგულაციებზე. კორპორაციული სამართლის საერთო მიზანია ემსახუროს მთლიანი საზოგადოების ინტერესებს.¹ სამართალი ადგენს ქვეყნის განსაზღვრულ, ზოგადსავალდებულო წესს, რომელსაც გააჩნია მოქმედების პრეტენზია² და უნდა შეეძლოს ნებისმიერი შესაძლო ინერესთა კონფლიქტის გადაჭრა.³

პირთა ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე იქმნება „ორგანიზაციული წარმონაქმნი“, რომელიც იმიჯნება მისი დამფუძნებლებისა თუ წევრებისაგან და დამოუკიდებლად იღებს მონაწილეობას კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.⁴

კორპორაცია მისი წევრების სამართლებრივი სტატუსისაგან დამოუკიდებელია. იურიდიულ პირთან მიმართებაში დამოუკიდებლობის ელემენტის არსებობა ქმნის კორპორაციის სამართალსუბიექტობას.

საბაზრო ურთიერთობების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს როგორც კორპორაციის, ასევე კორპორაციასთან დაკავშირებულ პირთა ინტერესები. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია კორპორაციების საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევით და ქმედითი რეგულაციების არსებობის უზრუნველყოფით. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების სრულყოფის მნიშვნელობა სამეწარმეო საქმიანობაზე არსებითი გავლენის მოხდენაში გამოიხატება.⁵

¹ Armour, Hansmann., Kraakman, The Essential Elements of Corporate Law: What is Corporate Law? 2009, P 25

² ხუბუა გ. სამართლის თეორია, გვ. 39. 2004,

³ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009 გვ. 3

⁴ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009 გვ. გვ. 161

⁵ Williamson O.E., The Modern Corporation: Origins, Evolution, Attributes, "Journal of Economic Literature Vol. XIX, 1981, 1543.

საკორპორაციო სამართალში ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი მოქმედებს, კორპორაციის შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპისა და გამჭოლი პასუხისმგებლობის სახით, რომლებიც ფაქტობრივად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია საკითხი იმის თაობაზე, თუ როდის წყვეტს მოქმედებას პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი და დგება გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების აუცილებლობა.

შეზღუდული პასუხისმგებლობა იცავს კორპორაციის მფლობელებს აქტივებს კორპორაციის კრედიტორთა პრეტენზიებისაგან.⁶ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის მოქმედება კრედიტორებისთვის ნიშნავს, რომ მათი მოთხოვნების შესასრულებლად ხელმისაწვდომია მხოლოდ კორპორაციის ქონება და პარტნიორების პირადი ქონების გამოყენება კორპორაციის მიმართ არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არ დაიშვება. ზოგადი პრინციპის თანახმად, კორპორაცია აღიარებულია მისი აქციონერებისაგან განცალკევებულ იურიდიულ პირად.⁷ თუმცა კორპორაციის ქონების განცალკევება პარტნიორთა პირადი ქონებისაგან და პასუხისმგებლობის შეზღუდვის გამოყენება არ არის უპირობო.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც პარტნიორების მხრიდან აღილი აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენებას, პირადი სარგებლის მიღების მიზნით. პარტნიორთა არაკეთილსინდისიერმა ქმედებამ კი შესაძლოა კორპორაცია გადახდისუნარობამდეც კი მიიყვანოს. ამ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება კრედიტორთა ინტერესების დაცვის საკითხი, რაც გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის საფუძველზე რეგულირდება. საფარველის

⁶ Armour, Hansmann., Kraakman, The Essential Elements of Corporate Law: What is Corporate Law? 2009, P. 9

⁷ Robert B. Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, 76 Cornell L. Rev. 1036 (1991) Available at: <http://scholarship.law.cornell.edu/clr/vol76/iss5/2>

გაქოლვა წარმოადგენს ყველაზე საკამათო საკითხს საკორპორაციო სამართალში.⁸

ამდენად, კორპორაციის პარტნიორებისთვის პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის მოქმედება წარმოადგენს ერთგვარ დამცავ მექანიზმს კორპორაციის ვალდებულებებისაგან, თუმცა არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, როდესაც მათმა არაკეთილსინდისიერმა მოქმედებამ დააზარალა კომპანია და შედეგებმა გავლენა მოახდინა კრედიტორებზე.

კეთილსინდისიერება ნორმატიული კატეგორიაა, მისი კონცეფცია გამოიხატება არა მხოლოდ ეთიკურ და მორალურ პრინციპებში, არამედ წარმოადგენს სამართლებრივ დოქტრინას, რომლის საფუძველზეც მხარეებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა წარმოეშვათ უფლება-მოვალეობები, ან უარი ეთქვათ უფლების დაცვაზე.⁹

გამჭოლი პასუხისმგებლობა იძლევა შესაძლებლობას, გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, დადგეს პარტნიორების პირადი პასუხისმგებლობის საკითხი. მისი მიზანია უზრუნველყოს კორპორაციის კრედიტორთა ინტერესების დაცვა იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა სამართლებრივი საშუალებებით ამ მიზნის მიღწევა ვერ ხორციელდება. კორპორაციული საფარველის გაქოლვა ეხება ზოგადი პრინციპიდან გამონაკლისს, რომლის მიხედვით სასამართლო უგულებელყოფს კორპორაციის განცალკევებულობას და პარტნიორებს აკისრებს პირად პასუხისმგებლობას კორპორაციის ვალდებულებებზე.¹⁰ ამდენად კორპორაციული საფარველის გაქოლვა არ წარმოადგენს სტანდარტულ მექანიზმს კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოვლინებას ეროვნულ სამართალში წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6

⁸ იქვე.

⁹ ვაშაკიძე გ. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007, გვ.18

¹⁰ Robert B. Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study , 76 Cornell L. Rev. 1036 (1991) Available at: <http://scholarship.law.cornell.edu/clr/vol76/iss5/2>

პუნქტში არსებული დანაწესი, რომლის მიხედვით პარტნიორები კორპორაციის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას.¹¹ კანონის ეს რეგულაცია არ არის მკაფიო და არ შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენებაში. აღნიშნულის განმარტება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო პრეროგატივას წარმოადგენს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის დამღევა და საფარველის გაჭოლვა ქართული სამართლებრივი სივრცისათვის ახალი ინსტიტუტია, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ამდენად, მწირი სასამართლო პრაქტიკა და ამ სფეროში ეროვნული ლიტერატურისა თუ კვლევების ნაკლებობა იწვევს საკითხისადმი დიდ ინტერესს და მის აქტუალობას.

ნაშრომის მიზანია ხელი შეუწყოს გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლების განსაზღვრას. ასევე, პარტნიორისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების დადგენასა და გამოყენების მექანიზმის დასაბუთებას.

კვლევა ეფუძნება ანალიზის და შედარებით-სამართლებრივ კვლევის მეთოდებს, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს ურთიერთმიმართება კორპორაციის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას, პასუხისმგებლობის შეზღუდვასა და კორპორაციული საფარველის გაჭოლვას შორის. შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდიებია გამოყენებული აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს მაგალითზე.

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. პირველი თავი ეთმობა კორპორაციული საფარველის არსის განსაზღვრის საკითხს და პასუხისმგებლობის შეზღუდვის გავლენას საკორპორაციო ურთიერთობებზე.

¹¹ მეწარმეთა შესახებ კანონი მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.

მეორე თავში განხილულია კორპორაციული საფარველის გაჭოლვის გზით კრედიროთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა და საფარველის გაჭოლვის საკითხი სახელმძღვანელო და დელიქტურ ურთიერთობებში.

მესამე თავი ეთმობა იმ წინაპირობების განსაზღვრასა და ანალიზს, რომელთა არსებობა ქმნის კორპორაციული საფარველის გაჭოლვის სამართლებრივ საფუძველს.

მეოთხე თავი ეხება კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ნორმატიული საფუძვლების შედარებით-სამართლებრივ ანალიზს აშშ-ს, გერმანიისა და საქართველოს მაგალითზე.

დასკვნით ნაწილში ერთგვარად შეჯამებულია ნაშრომში დასმული საკითხები. წარმოდგენილია ქართულ საკორპორაციო სამართალში გამჭოლი პასუხისმგებლობის დამკვიდრების მიზნით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიდგომები და ზოგადი ხედვა საკითხის სამომავლო განვითარების პერსპექტივასთან დაკავშირებით.

1. კორპორაცია და კორპორაციის შეზღუდული პასუხისმგებლობა, როგორც არსებითი ელემენტი

1.1 კორპორაცია და კორპორაციული საფარველის არსი

კორპორაცია, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტობი, რთულ ეკონომიკურ სამართლებრივ ინსტიტუს წარმოადგენს, კორპორაციის ისტორიული ფორმები რომის სამართალიდან იღებს სათავეს და ძირითადად განვითარების ოთხ საფეხურ მოიცავს.¹² საწყის ეტაპზე განვითარდა კორპორაციის მისი წევრებისაგან განცალკევებული სუბიექტის კონცეფცია. შემდგომი ეტაპი გაერთიანების სამეწარმეო მიზნებისთვის გამოყენება იყო. მესამე ეტაპი ხასიათდება თავად კორპორაციის ბუნებაში ცვლილებით, რომელიც საფუძვლად დაედო დახურული და ღია ტიპის

¹²

კორპორაციების წარმოშობას. ფინალური ეტაპი კი დაკავშირებული იყო გლობალიზაციის პროცესებთან, რომლის საფუძველზე კორპორაციების საქმიანობა გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და წარმოიშვა ტრანსნაციონალური კორპორაციები.¹³

კორპორაციული სამართლის ძირითადი ფუნქციაა უზრუნველყოს საწარმოს იურიდიული ფორმის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს კორპორაციის ძირითად ელემენტებს.¹⁴ იმისათვის, რომ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა შეძლონ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობა, საჭიროა ისინი აღიჭურვონ შესაბამისი უფლებაუნარიანობით. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ორგანიზაციული წარმონაქმნის აღჭურვა უფლებაუნარიანობით ხორციელდება მისთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებით, რაც მას აქცევს სამართლის სუბიექტად.¹⁵

კორპორაციის სამართალსუბიექტობა იმ თეორიების საფუძველია, რომლებიც ადამიანისაგან განსხვავებული პირის პერსონიფიკაციის საშუალებას იძლევა.¹⁶ სავინის ფიქციის თეორიას საფუძველად უდევს იდეა, რომ სამართლის ძალით შესაძლებელია ადამიანისთვის დამახასიათებელი უფლებაუნარიანობის გადატანა წარმონაქმნზე, რომელიც წარმოადგენს პირთა და ქონების გაერთიანებას. ამ თეორიის საფუძველზე იურიდიული პირი განიხილება, როგორც ხელოვნური წარმონაქმნი და უფლებაუნარიანობის გადატანა ხდება ფიქციის მეშვეობით. ასეთი უფლებაუნარიანობა მხოლოდ ქონებრივ სფეროს მოიცავს და მას ქონებაუნარიან, ხელოვნურ სუბიექტად მოიაზრებს.¹⁷

¹³ დაწვრილებით კორპორაციის ისტორიული ფორმების შესახებ იხ. : Avi-Yonah, Reuven S. "The Cyclical Transformations of the Corporate Form: A Historical Perspective on Corporate Social Responsibility." Del. J. Corp. L. 30, no. 3 (2005): 767-818

¹⁴ John Armour, Henry Hansmann, Reinier Kraakman THE ESSENTIAL ELEMENTS OF CORPORATE LAW: WHAT IS CORPORATE LAW? Discussion Paper No. 643 7/2009 P.2

¹⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი (შემდგომში - სსკ)

„მეწარმეთა შეახებ „ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁶ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 30

¹⁷ ჭანტურია ლ. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2011 , 224

ფიქციის თეორიას ეფუძნება ინგლისის ლორდთა პალატის 1987 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Salomon v Salomon & Co. Ltd*, რომელიც ასევე გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების წარმოშობის საფუძვლად განიხილება.¹⁸ ლორდმა ჰელსბერიმ გადაწყვეტილება დააფუძნა გარემოებას, რომ კორპორაცია დაფუძნებული იყო კანონმდებლობის დაცვით და თავისი ხელოვნურობის მიუხედავად იქცა წევრებისაგან განცალკევებულ და დამოუკიდებელ სუბიექტად.¹⁹ კონცესიის თეორიის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ კორპორაცია იმართება დირექტორების მიერ, იგი სამართლის თვალში არის ინდივიდის მსგავსი დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ფლობდეს საკუთრებას, თუკი ეს გათვალისწინებულია წესდებით. აღნიშნული თეორია ასახულია ცნობილ სასამართლო გადაწყვეტილებაში საქმეზე *Trustees of Dartmouth College v. Woodward*, რომელშიც გამოყენებულია მოსამართლე მარშალის განმარტება, რომ კორპორაცია არის ხელოვნური, უხილავი და ხელშეუხებელი წარმონაქმნი, რომელსაც მისთვის სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული თვისებები აქვს.²⁰ სახელშეკრულებო თეორია კორპორაციას განიხლავს ორმხრივად

მავალდებულებელი შეთანხმებების ერთობლიობად („nexus of contracts”),²¹ რითაც ხაზგასმულია შიდასამართლებრივი ურთიერთობების სახელშეკრულებო ხასიათი. ²² თეორიის თანახმად, კორპორაცია არ არის ინდივიდი, იგი წარმოადგენს სამართლებრივი ფიქციას, სამართლებრივ

¹⁸ Thomas K. Cheng, *The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines*, 34 *B.C. Int'l & Comp. L. Rev.* 329 (2011), 334

¹⁹ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, გვ.31. სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016.

²⁰ Larry E. Ribstein, *Limited Liability and Theories of the Corporation*, 50 *Md. L. Rev.* 80 (1991) Available at: <http://digitalcommons.law.umaryland.edu/mlr/vol50/iss1/6> P.85

²¹ დაწვრილებით *ob. Armour, Hansman, Krakmaan, The Essential Elements of A Corporate Law: What is Corporate Law*, Discussion Paper No. 643, 7/2009, Harvard Law School, 9.

²² ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, გვ. 34. სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016.

რეალობაში დამოუკიდებლად არ არსებობს²³ და წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებულ შესაბამის ურთიერთობებს.²⁴

ქონების დემარკაციის საფუძველზე, კორპორაციის ქონება განიხილება კორპორაციის პარტნიორების ქონებისაგან განცალკევებულად. ქონების დაყოფა წარმოშობს ორი ტიპის დაცვას, კერძოდ ორგანიზაციულ (“entity shielding”) და მესაკუთრის დაცულობას (“owner shielding”).²⁵

“entity shielding” იცავს კორპორაციის ქონებას დამფუძნებელთა კრედიტორებისაგან. შეზღუდული პასუხისმგებლობა მესაკუთრის დაცულობის ძლიერი ფორმაა, რომელსაც ფაქტობრივად ორგანიზაციული დაცვის საპირისპირო ეფექტი აქვს.²⁶

ქონების დემარკაციით იქმნება ქონების დაყოფის ისეთი რეჟიმი, რომლის დარღვევა ამართლებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრონციპიდან გადახვევას და საფუძველს ქმნის გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის.²⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ იურიდიული პირის ქონებაზე საკუთრების უფლება, როგორც სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს, თავად იურიდიულ პირს ეკუთვნის.²⁸

²³ Hayden, Bodie, The Uncorporation and the Unraveling of “Nexus of Contract” Theory, Michigan Law Review, Vol. 109, 2011, 1129.

²⁴ Hayden, Bodie, The Uncorporation and the Unraveling of “Nexus of Contract” Theory, Michigan Law Review, Vol. 109, 2011, 1129.

²⁵ დაწვრილებით იხ. Hansmann, Kraakman, Squire, Law and Rise of the Firm, Harvard Law Review, Vol. 119, No 5, 2006, 1337.

²⁶ Armour, Hansman, Krakmaan, The Essential Elements of A Corporate Law: What is Corporate Law, Discussion Paper No. 643, 7/2009, Harvard Law School, 6.

²⁷ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 36

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება #2/36-7. ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/iuri-kirakosiani-spiridon-vartaniani-martiros-chardexchiani-petre-safariani-sergo-vartanovi-qetevan-totolashvili-askan-manukiani-roza-pogosiani-svetlana-peregulko-nodar-gigashvili-da-shota-meqvabishvili-saqartvelos-parlamentis-win-650.page>

საკორპორაციო სამართალში მეწარმე სუბიექტთა სახეობად დაყოფა გაერთიანების ხასიათიდან მომდინარეობს. კლასიფიკაცია ეფუძნება იმ საფუძვლებს, რომლითაც განისაზღვრება კორპორაციის აქციონერთა ან/და პარტნიორთა პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის.²⁹ ერთმანეთისგან გამიჯნულია კაპიტალური და ამხანაგური ტიპის საზოგადოებები. ერთ შემთხვევაში საზოგადოება ფორმირდება პირთა გაერთიანების, ხოლო მეორე შემთხვევაში კაპიტალის გაერთიანების შედეგად. შესაბამისად, პერსონალურ და კაპიტალურ საზოგადოებებს შორის არსებით განსხვავებას სწორედ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის არსებობა ქმნის.³⁰ კაპიტალური ტიპის საზოგადოება წარმოადგენს განყენებულ სუბიექტს და მისი არსებობა არ არის დაკავშირებული წევრთა ცვლილებასთან. მისთვის დამახასიათებელია წილების მარტივად გასხვისება, ისე რომ პარტნიორის ცვლილება არ იწვევს კორპორაციის იდენტობის ცვლილებას.³¹ მეწარმე სუბიექტთა ასეთ გამიჯვნას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პასუხისმგებლობის მატარებელი სუბიექტის დადგენის მიზნებისთვის. კორპორაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა განსაზღვრავს ურთიერთობების ფორმირების პროცესს და უფლება-მოვალეობათა მოცულობას კორპორაციასა და მასთან დაკავშირებულ პირებს შორის.

იურიდიული პირის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აღსანიშნავად, საქართველოში გამოიყენება ტერმინი „საზოგადოება“.³² ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ძირითადი კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს მიეკუთვნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) და სააქციო საზოგადოება (სს).

²⁹ Per Samuelsson, ON THE EVOLUTION OF CORPORATE FORMS, UNIVERSITY OF ILLINOIS LAW REVIEW 2005, p. 18

³⁰ მახარობლიშვილი გ. მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი, N2, 2011, გვ. 100 თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

³¹ ქირია ა. საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, გვ. საკორპორაციო სამართლის კრებული, რედ. ი.ბურდული, 2011

³² „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი

სააქციო საზოგადოება, როგორც წესი აქციონერთა სიმრავლით გამოირჩევა და დიდი მოცულობის კაპიტალის სამართავად არის შექმნილი. შპს-სთან შედარებით რთული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა აქვს და მკაცრად დადგენილ რეგულაციებს ექვემდებარება. აშშ-ს საკორპორაციო სამართალში, საქართველოსა და გერმანიის მსგავსად, არ განასხვავებენ სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, მაგრამ დაყოფა ხდება დახურული და ღია ტიპის კორპორაციებად, რომელიც შესაძლოა მათ ეკვივალენტად ჩაითვალოს.³³

დახურული ტიპის კორპორაციების მართვაში პარტნიორები არ მონაწილეობენ და შედარებით მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი. ამასთან დახურული კორპორაციის აქციები ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე საჯარო ვაჭრობაში არ მონაწილეობს. საპირისპირო მდგომარეობაა ღია ტიპის კორპორაციებში. გამოირჩევა აქციონერთა სიმრავლით და მისი აქციები საჯარო ვაჭრობისთვის დაშვებულია ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე.³⁴

შპს-ს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა წარმოიშვა გემანიაში და შემდეგ გავრცელდა დანარჩენ მსოფლიოში. შპს-ს კაპიტალი დაყოფილია წილებად და მცირე რაოდენობის პარტნიორები ჰყავს.

კორპორაციული მართვა გულისხმობს კეთილსინდისიერებაზე, ერთგულებაზე და ღირებულებებზე დაფუძნებულ მოძღვრებას საწარმოს მართვის შესახებ.³⁵ თითქმის ყველა იურისდიქციაში კორპორაციებს მეტნაკლებად მსგავსი იურიდიული მახასიათებლები აქვთ, რაც ვლინდება მათთვის საერთო ფუნდამენტური ნიშნების არსებობაში.³⁶

³³ ლ. ჭანტურია

³⁴ ლ. ჭანტურია

³⁵ მარკუს ლუთერი, სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა, კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2003, 13

³⁶ John Armour, Henry Hansmann, Reinier Kraakman THE ESSENTIAL ELEMENTS OF CORPORATE LAW: WHAT IS CORPORATE LAW? Discussion Paper No. 643 7/2009 P.2

ძირითადი სამართლებრივი ნიშნები, რომელიც კორპორაციებს ახასიათებს არის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა და მისი აღირება დამოუკიდებელ იურიდიულ პირად, შეზრუდული პასუხისმგებლობა, გასხვისებადი წილების/აქციების არსებობა, მმართველობითი ფუნქციების მმართველებისთვის გადაცემის შესაძლებლობა და წილების/აქციების არსებობა, რომლის ფლობა შეუძლიათ ინვესტორებს.³⁷ აღნიშნული მახასიათებლები როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლიობაში უზრუნველყოფს კორპორაციების ეფექტურ ფუნქციონირებას.

ფიზიკური პირების მსგავსად, კორპორაცია არის უფლება-მოვალეობათა მატარებელი ერთეული.³⁸ სპეციფიკის გათვალისწინებით, ამ უფლება-მოვალეობებით კორპორაცია აღიჭურვება კანონის ძალით და მის ფარგლებში მოქმედებს. პიროვნულობა უნდა დარჩეს მხოლოდ იურიდიულ გაგებად, რაც გულისხმობს უფლება-მოვალეობების მქონე სუბიექტს, რომელსაც უნარი შესწევს იყოს იმ უფლებების მატარებელი, რომელიც მას მიეკუთვნება.³⁹

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი კაპიტალური ტიპის საზოგადოებების არსებითი განმსაზღვრელი ელემენტია. კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის არსი სწორედ პასუხისმგებლობის შეზღუდვაში ვლინდება. ამ ორი პრინციპის მოქმედება ქმნის კორპორაციულ საფარველს, რომელიც კომპანიის პარტნიორებს იცავს კრედიტორთა მოთხოვნებისაგან. კორპორაცია განცალკევებულია მისი პარტნიორებისაგან. ისინი წარმოადგენენ განსხვავებულ სუბიექტებს, შესაბამისად განცალკევებულია მათი ქონებაც.

კორპორაციის იმ ქონების განცალკევება აქციონერთა ქონებისაგან, რომლითც იგი პასუხისმგებელია კრედიტორთა წინაშე არსებული

³⁷ John Armour, Henry Hansmann, Reinier Kraakman THE ESSENTIAL ELEMENTS OF CORPORATE LAW: WHAT IS CORPORATE LAW? Discussion Paper No. 643 7/2009 P.2

³⁸ John Dewey, The Historic Background of Corporate Legal Personality, Yale Law Journal, Vol.35, No. 6 1926

³⁹ John Dewey, The Historic Background of Corporate Legal Personality, Yale Law Journal, Vol.35, No. 6 1926

ვალდებულებებისთვის იურიდიული პირის არსებითი მახასიათებელი ნიშანია და განცალკევებულობის დადგენაში საკორპორაციო სამართალს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია.⁴⁰

საფუძლის არსებობის შემთხვევაში, კრედიტორთა წინაშე პასუხისმგებლობის მატარებელ სუბიექტად გამოდის კორპორაცია, მთელი მისი ქონებით.⁴¹ კაპიტალური საზოგადოებები სხვადასხვა ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ. იმისათვის, რომ კორპორაციამ შეძლოს ამ ურთიერთობებში საკუთარი სახელით მონაწილეობა, იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი სუბიექტი. დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა კორპორაციას საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად დადოს გარიგება, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ და საკუთარი სახელით აიღოს პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე. იურიდიულ პირებს, კერძო პირების მსგავსად აქვთ უნარი დადონ გარიგებები დანიშნული მმართველების მეშვეობით და ფლობდნენ აქტივებს, რომელიც ხელმისაწვდომია კორპორაციის კრედიტორების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.⁴²

კორპორაციული საფარველი იცავს აქციონერს კორპორაციის ვალდებულებებისაგან ერთის მხრივ და მეორეს მხრივ თავად კორპორაციას აქციონერის პირადი ვალდებულებებისაგან.⁴³ კორპორაცია დაცულია კორპორაციული საფარველით იმ აქციონერთა ვალდებულებებისაგან, რომლის ინვესტიციასაც იგი ფლობს, მაგრამ არა პირადი ვალდებულებებისაგან, მათ შორის მისი სახელით დადებული

⁴⁰ Henry Hansmann, Reiner Kraakman The Essential Role of Organizational Law. Yale Law Journal, 2000, P.4

⁴¹ გულაშვილი ნ. კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), გვ. 75. საკორპორაციო სამართლის კრებული I, (რედ. ირაკლი ბურდული) 2011.

⁴² Hansmann H., Kraakman R., The Essential Role of Organizational Law, Yale Law Journal, 2000, P.4

⁴³ ჯუღელი გ. კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, გვ. 13

გარიგებებიდან გამომდინარე ვალდებულებების ტვის. ⁴⁴ კორპორაციული საფარველის მოქმედებისას, არსებობს საფრთხე, რომ აღნიშნული დაცვის მექანიზმი აქციონერთა მხრიდან, გამოყენებული იყოს პირადი მიზნებისთვის, რაც იძლევა რისკების კრედიტორებისთვის გადაკისრების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არსებობდეს კორპორაციული საფარველის არამართლობიერი და არაკეთილსინდისიერი გამოყენებისაგან დაცვის მექანიზმი, რომელმაც უნდა გამორიცხოს კორპორაციული საფარველით არამართლობიერი სარგებლობის შესაძლებლობა.

სწორედ ასეთ მექანიზმს წარმოადგენს სასამართლოების მიერ განვითარებული გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი.

1.2. პასუხისმგებლობის შეზღუდვის გავლენა კორპორაციულ ურთიერთობებზე

პასუხისმგებლობის პრინციპის შეზღუდვა ზოგადი კერძოსამართლებრივი პრინციპია, რომელიც საშუალებას იძლევა გამოირიცხოს კონკრეტული პირის პასუხისმგებლობა მისი სხვა სუბიექტზე გადაკისრების გზით.⁴⁵

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპისა და იურიდიული პირის სტატუსის ურთიერთგავლენა ავსებს ერთმანეთს და ქმნის კორპორაციულ საფარველს, რომელიც მიჯნავს კორპორაციის და აქციონერთა ქონებას ერთმანეთისგან და კორპორაციის ქონების კრედიტორთაგან დაცვას უზრუნველყოფს.⁴⁶

⁴⁴ მახარობლიშვილი გ. კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (Limited liability) და კორპორაციის საფარველით (entity shielding) დაცულობა, გვ.432, გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული 2016.

⁴⁵ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 40

⁴⁶

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, საკორპორაციო სამართალში, შეზღუდული პასუხისმგებლობა დადგენილია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით, რომლის მიხედვით პარტნიორები კორპორაციის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას.⁴⁷

შეზღუდულ პასუხისმგებლობას საფუძველად უდევს მისი წევრებისაგან განცალკევება, რაც კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობიდან გამომდინარეობს. შეზღუდული პასუხისმგებლობით სარგებლობენ მისი აქციონერები და არ გულისხმობს თავად კორპორაციის შეზღუდულ პასუხისმგებლობას საკუთარი ვალდებულებებისთვის. შეზღუდული პასუხისმგებლობის არსებობა გამართლებულია აქციონერებისთვის და გულისხმობს კორპორაციის უნარს გადააკისროს რისკები კრედიტორებს.⁴⁸

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პირობებში ინვესტორი დაზღვეულია ინდივიდუალური პასუხისმგებლობისაგან, კორპორაციის მიერ შესაძლო არარენტაბელურ საქმიანობაში კაპიტალდაბანდების განხორციელების შემთხვევაში.⁴⁹ შენატანის განხორციელება ინვესტორს კორპორაციული საფარველით იცავს, რომელიც იქმნება კორპორაციული ფიქციის ხელოვნურობით.⁵⁰ პარტნიორის პირად ქონებას, წილის ან აქციის ფასის განსაზღვრის მიზნებისთვის მნიშვნელობა არ აქვს. პასუხისმგებლობის

⁴⁷ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.

⁴⁸ Joseph H. Sommer, *Subsidiary: Doctrine without a Cause?*, 59 *Fordham L. Rev.* 227 (1990). Available at: <http://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol59/iss2/2>, 230

⁴⁹ მახარობლიშვილი გ. კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (Limited liability) და კორპორაციის საფარველით (entity shielding) დაცულობა, გვ.436, გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული 2016,

⁵⁰ გულაშვილი ნ. კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), გვ. 98-101. საკორპორაციო სამართლის კრებული I, (რედ. ირაკლი ბურდული) 2011.

შეზღუდვის ელემენტის არარსებობის პირობებში, აქციის ფასის განსაზღვრაზე გავლენას იქონიებდა აქციონერთა პირადი ქონებაც.⁵¹

პასუხისმგებლობის შეზღუდვის გარეშე, იმ რაოდენობის კაპიტალის თავმოყრა, რაც საჭიროა თანამდეროვე ბიზნესის გამართულად ფუნქციონირებისთვის, ძალიან რთული იქნებოდა.⁵² მეტიც პარტნიორის/აქციონერის პასუხისმგებლობის შეზღუდვით მიიღწევა მნიშვნელოვანი საჯარო მიზანი, რომელიც გულისხმობს რისკების შეზღუდვის ხარჯზე ინვესტიციების მოზიდვას და წახალისებას.⁵³

პასუხისმგებლობის შეზღუდვა არ გულისხმობს კორპორაციისთვის ვალდებულების არარსებობას, იგი იცავს მხოლოდ აქციონერს ინდივიდუალური პასუხისმგებლობისაგან.

საკორპორაციო სამართლის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს კორპორაციასთან დაკავშირებული ჯგუფების ინტერესთა დაცვის გარანტიების არსებობა/შექმნა.⁵⁴ ვინიდან კრედიტორები წარმოადგენენ კორპორაციასთან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ პირებს, შესაბამისად საკორპორაციო სამართლის ფუნქცია მათთვის დაცვის გარანტიების შექმნასაც გულისხმობს. როდესაც სამართლის ნორმა აწესრიგებს კორპორაციულ ურთიერთობას, იგი მიმართულია იმ პირებისადმი, რომლებიც ქმნიან ან მართავენ კორპორაციას. კანონი იყენებს კორპორაციის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას, როგორც საზომს, რათა მიმართოს მოთხოვნები იმ პირებისაკენ რომლებიც მას რეალურად ხელმძღვანელობენ.⁵⁵ ვინაიდან კორპორაცია ფიქციის გზით შექმნილი სუბიექტია, რომლის მმართველობას რეალური ეკონომიკური მფლობელები ახორციელებენ, მნიშვნელოვანია არსებობდეს კორპორაციის კრედიტორთა

⁵¹ ?

⁵² William Mitchell Law Review: "Disregard of the Corporate Entity," Vol. 4: Iss. 2, Article 3. (1978) Available at: <http://open.mitchellhamline.edu/wmlr/vol4/iss2/3> , 335

⁵³ Harvey Gelb, Piercing the Corporate Veil—The Undercapitalization Factor, 59 Chi.-Kent L. Rev. 1 (1982), 2. Available at: <https://scholarship.kentlaw.iit.edu/cklawreview/vol59/iss1/2>,

⁵⁴ აკაკი ქირია, საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, გვ. 37 საკორპორაციო სამართლის კრებული, რედ. ი.ბურდული, 2011

⁵⁵ Arthur Machen, Corporate Perspnality, Harvard Law Review, Vol. 24, No. 4, Part 1, 1911

ინტერესების დაცვის მექანიზმი იმ რისკებთან მიმართებაში, რომელიც კორპორაციის რეალური მფლობელებისაგან შეიძლება მომდინარეობდეს და რომლებიც კორპორაციის შეზღუდულ პასუხისმგებლობას სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოიყენებენ. ამასთან, ქმედებები, რომლებიც შესაძლოა კორპორაციის გადახდისუნარობის საფუძველი გახდეს, ძირითადად კორპორაციის აქციონერთა ან ხელმძღვანელთაგან მომდინარეობს.⁵⁶

საკორპორაციო სამართალი საშუალებას აძლევს იურიდიულ პირებს ფლობდნენ აქტივებს და შევიდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მათი მმართველებისა და მფლობელებისაგან დამოუკიდებლად.⁵⁷ კორპორაციული საფარველი, ზღუდავს კრედიტორების უფლებას მიმართონ საკუთარი მოთხოვნები უშუალოდ კორპორაციის აქციონერებისაკენ და მათთვის ხელმისაწვდომად განიხილავს მხოლოდ კორპორაციის აქტივებს. ასევე შეზღუდულია აქციონერთა პირადი კრედიტორებისთვის კორპორაციის ქონებიდან მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ეკონომიკურ საქმიანობას თან სდევს სამეწარმეო წარუმატებლობის რისკიც, რომელიც წარმოადგენს როგორც მმართველი ორგანოების, ასევე თავად საზოგადოებისა და პარტნიორთა რისკს.⁵⁸ კორპორაციის კეთილსინდისიერად მართვის შემთხვევაში, აქციონერების პირადი პასუხისმგებლობის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. მმართველო ორგანოებს კი სამეწარმეო გადაწყვეტილებზე პირადი პასუხისმგებლობისგან სამეწარმეო განსჯის წესი იცავს (Business Judgment

⁵⁶ გიორგი ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, გვ. 14

⁵⁷ Henry Hansmann, Reinier Kraakman, Richard Squire, LAW AND THE RISE OF THE FIRM, Harvard Law School, Discussion Paper No. 546, 2/2006

⁵⁸ მარკუს ლუთერი, სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა, კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2003, 25

Rule).⁵⁹ აქციონერების პირადი პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება წარმოიშვას, როდესაც აქციონერთა მხირდან ადგილი აქვს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად, ან პირადი გამორჩენის მიზნით გამოყენებას, რითაც ზიანი ადგებათ კრედიტორებს. შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის გადალახვა კორპორაციული საფარველის გაჭოლვის გზით, ხდება განსაკუთრებულ შემთხვევებში და გამოწვეულია კრედიტორთა ინტერესების დაცვის აუცილებლობით.

2. კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან გამონაკლისი

2.1 გამჭოლი პასუხისმგებლობა როგორც კრედიტორთა ინტერესების დაცვის საშუალება

კორპორაციული საფარველი იცავს აქციონერებს კორპორაციის ვალდებულებებისაგან, თუმცა არა ყველა შემთხვევაში. ზოგადი წესის მიხედვით, კორპორაციის ვალდებულებებისთვის მისი აქციონერები პასუხს არ აგებენ, თუ არ არსებობს მათთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების სხვა სამართლებრივი საფუძველი.⁶⁰ როდესაც მათ მიერ კორპორაციული საფარველის პრივილეგიის ბოროტად გამოყენება ხდება, სასამართლო უგულებელყოფს კორპორაციულ პიროვნულობას და პასუხისმგებლობას პირადად გადააკისრებს პარტნიორებს/აქციონერებს.⁶¹ კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა კორპორაციას სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების სრულფასოვან წევრად აქცევს, რაც კორპორაციისთვის საკუთარი კაპიტალის ფორმირებისა და პასუხისმგებლობის ფონდის შექმნის შესაძლებლობას გულისხმობს. ⁶²

⁵⁹ იხ. ცერცვაძე ლ. დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით-სამართლებრივი ანაზილი) თბილისი, გამ. "იურისტების სამყარო" 2016.

⁶⁰ ELIZABETH S. MILLER, THE LIMITS OF LIMITED LIABILITY: VEIL PIERCING AND OTHER BASES OF PERSONAL LIABILITY OF OWNERS, GOVERNING PERSONS, AND AGENTS OF TEXAS BUSINESS ENTITIES 2017, 1

⁶¹ იქვე. Castleberry v. Branscum, 721 S.W.2d 270, 271 (Tex. 1986)

⁶² მახარობლიშვილი გ. კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (Limited liability) და კორპორაციის

კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება პასუხისმგებლობის ფონდის ფარგლებში ხორციელდება, შესაბამისად, ზოგადი წესის მიხედვით, კორპორაციის პარტნიორთა პირადი ქონება მათთვის ხელმისაწვდომი არ არის ვინაიდან კორპორაციისა და მისი წევრების ქონება გამიჯნულია ერთმანეთისგან. კორპორაციული საფარველი იცავს აქციონერს კორპორაციის და არა პირადი ვალებისაგან, რომელშიც ასევე იგულისხმება მის მიერ ჩადენილი დელიქტიდან გამომდინარე ვალდებულებები.⁶³

შეზღუდული პასუხისმგებლობის მოქმედების ფარგლები არ არის შეუზღუდავი. გამჭოლი პასუხისმგებლობა წარმოადგენს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან გამომდინარე იმუნიტეტის ბოროტად გამოყენების საპასუხო მექანიზმს.⁶⁴ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებისა და საკუთარი რისკებისა და ეკონომიკური დანაკარგების სხვაზე გადაკისრებისთვის კი აქციონერმა პასუხი უნდა აგოს.⁶⁵ სამართლის მიზანი მდგომარეობს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენებით დამდგარი შედეგების აცილებაში⁶⁶ და კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სამართლიანი ბალანსის შენარჩუნებაში.⁶⁷

მართალია მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის დაყენების სამართლებრივ საფუძველს, თუმცა აღნიშნული სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს

საფარველით (entity shielding) დაცულობა, გვ.432, გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული 2016

⁶³ იქვე 438.

⁶⁴ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 62-63

⁶⁵ ქირია ა. საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, გვ. 37 საკორპორაციო სამართლის კრებული, რედ. ი.ბურდული, 2011, 37 ?

⁶⁶ Morrissey, Piercing All the Veils: Applying an Established Doctrine to a New Business Order, Iowa Journal of Corporate Law, [32 Iowa J. Corp. L. 529], 2007, 541.

⁶⁷ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 63

კრედიტორთა დაცვას. აღნიშნულის მიზეზი ნორმის ბუნდოვანებაც არის, ვინაიდან კანონი არ იძლევა მითითებას იმის თაობაზე, თუ რა გარემოებები იგულისხმება შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიის ბოროტად გამოყენებაში და რა პირობების არსებობისას შეიძლება დადგეს კორპორაციული საფარველის გაჭოლვის სამართლებრივი საფუძველი.

მეწარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე შესაძლოა დადგეს სააქიო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებებისთვის იმ შემთხვევაში, თუ შენატანი სრულად არ არის განხორციელებული და ისიც მხოლოდ შეუტანელი შენატანის ფარგლებში.⁶⁸ აღნიშნული ნორმა მართალია ითვალისწინებს შეზღუდული პარტნიორის პირად პასუხისმგებლობას, თუმცა განსხვავებული სამართლებრივი საფუძველით. შენატანის განუხორციელებლობის შემთხვევაში, დასაწყისიდანვე გამორიცხულია კორპორაციული საფარველით დაცულობის პრივილეგიით სარგებლობა.

ქვეყანაში არსებული რეალობიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი აქტუალურია, რასაც ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2015 წელს ორ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში, აღნიშნავს, რომ მეწარმეთა შესახებ „კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი პარტნიორისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას ითვალისწინებს, როდესაც ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს. პალატამ მიიჩნია, რომ ნორმა ფართოდ განიმარტება და გულისხმობს, როგორც პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენებას, ასევე თავად პასუხისმგებლობის ელემენტის ბოტორად გამოყენებას, რაც თავის მხრივ პრივილეგიის სხვის ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და პირადი

⁶⁸ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი.

რისკებისა თუ დანაკარგების სხვაზე გადაკისრებას ითვალისწინებს, კრედიტორის შეცდომაში შეყვანით გზით.⁶⁹

ფართო განმარტების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ბოროტად გამოყენება მოიაზრებს, არა მხოლოდ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არამიზნობრივ გამოყენებას, არამედ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ელემენტის ბოროტად გამოყენებას, რომელიც კაპიტალური ტიპის საზოგადოების არსებითი განმსაზღვრელი ელემენტია.

კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საკითხი აქტუალური ხდება, როდესაც არსებობს კრედიტორთა მოთხოვნები და კორპორაციას არ შესწევს უნარი დააკმაყოფილოს ისინი. შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოტოტად გამოყენება გულისხმობს პარტნიორის მხირად ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც ხელყოფს ქონებრივ ფონდს, რომელიც საზოგადოების ვალდებულების შესასრულებლად არის განკუთვნილი, ასევე უგულებელყოფს კორპორაციის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას.⁷⁰ კორპორაცია, რომელიც კაპიტალის გარეშეა დარჩენილი, რისკს წარმოადგენს კრედიტორებისთვის, მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.⁷¹

როგორც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაშია განმარტებული, გამჭოლი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველია, როდესაც პარტნიორების მხრიდან ადგილი აქვს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას,⁷² საფარველის გაჭოლვა არის შესაბამისი საშულება, რომლის გამოყენება შეუძლია სასამართლოს, რათა თავი აარიდოს უსამართლობას⁷³ და რომლის მიზანს წარმოადგენს

⁶⁹ სუსგ. №ას-1307-1245-2014 და №ას-1158-1104-2014

⁷⁰ მახრობლიშვილი გ. კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (Limited liability) და კორპორაციის საფარველით (entity shielding) დაცულობა, გვ.448, გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული 2016.

⁷¹ დაწვრილებით კაპიტალის დაცვის მნიშვნელობის შესახებ იხ. ჯუღელი გ. კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გამ. სიესტა, თბილისი 2010.

⁷² სუსგ. №ას-1307-1245-2014 და №ას-1158-1104-2014

⁷³ Franklin A. Gevurtz, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, 76 Or. L. Rev. 853 (1997).

კონკრეტული და სფეციფიკური მიზნის მიღწევა.⁷⁴ საფარველის გაჭოლვა წარმოადგენს საგამონაკლისო მექანიზმს, რომლის საფუძველზე სასამართლო უკუაგდებს კორპორაციის განცლკვევებულობას და პარტნიორს აკისრებს კორპორაციის ქმედებისთვის პირადი ქმედების ტოლფას პასუხიმგებლობას.⁷⁵

2.2 გამჭოლი პასუხიმგებლობის მიმართება ზოგადსამართლებრივ

პრინციპებთან

კეთილსინდისიერების პრინციპის პრაქტიკაში მოქმედება იმდენადვე სარისკოა, რამდენადაც ეფექტური.⁷⁶ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთათვის კეთილსინდისიერება გულისხმობს ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ საკუთარი უფლება-მოვალეობები, ხოლო 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს. კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება კი გამოიხატება იმით, რომ მის საფუძველზე კონკრეტული ურთიერთობის მონაწილეებს შესაძლოა წარმოეშვათ უფლებები და ვალდებულებები, ან უარი ეთქვათ უფლების დაცვაზე.⁷⁷ კეთილსინდისიერების პრინციპი შესაძლოა საფუძვლად დაედოს

⁷⁴ Macey, Jonathan, "FINDING ORDER IN THE MORASS: THE THREE REAL JUSTIFICATIONS FOR PIERCING THE CORPORATE VEIL" (2014). Faculty Scholarship Series. Paper 4925. http://digitalcommons.law.yale.edu/fss_papers/4925, 101.

⁷⁵ Robert B. Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, 76 Cornell L. Rev. 1036 (1991) Available at: <http://scholarship.law.cornell.edu/clr/vol76/iss5/2>, 1036

⁷⁶ ვაშაკიძე გ. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10, N1, 2007, 18.

⁷⁷ ვაშაკიძე გ. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10, N1, 2007, .

კერძოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ⁷⁸ ასევე წარმოშვას ან შეზღუდოს უფლება. ⁷⁹

აშშ-ში მოქმედებს ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსი, რომლის საფუძველზე ხელშეკრულებები და ვალდებულებები, რომლებიც კოდექსის საფუძველზე წარმოიშობა, უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად და ავალდეულებს მხარეებს იმოქმედონ მის შესაბამისად.⁸⁰ მართალია კოდექსი არ წარმოადგენს ფედერაციურ კანონს, თუმცა მიღებულია და მოქმედებს შტატების უმეტესობაში და გამოიყენება სასამართლოების მიერ. ⁸¹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფის მიხედვით, მხარეებმა სახელშეკრულებო ვალდებულებები სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების გათვალისწინებით ისე უნდა შეასრულონ, როგორც ამას კეთილსინდისიერება მოითხოვს.⁸² მართალია ეს მუხლი მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებას მოიცავს, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში არასახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართაც გამოიყენებოდა. ⁸³

კეთილსინდისიერება, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების ფუნდამენტი⁸⁴ და როგორც ზოგადი კერძოსამართლებრივი პრინციპი მოქმედებს საკორპორაციო სამართალშიც. კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების გამოვლინებას საკორპორაციო სამართალში,

⁷⁸ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 158

⁷⁹ ვაშაკიძე გ. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით-აბსრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10, N1, 2007, 46.

⁸⁰ **2013 New York Consolidated Laws UCC - Uniform Commercial Code**, article 1-203. Obligation of Good Faith. ხელმისაწვდომია: <https://law.justia.com/codes/new-york/2013/ucc/>

⁸¹ <https://www.uniformlaws.org/acts/ucc> [ბოლოს გამოხმობილია: 20.06.2019]

⁸² კროფკოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი. მე-13 გადაამუშავებული გამოცემა (გადაამუშავა იაკობი ფ. ფონ ჰინდენ მ.) თბილისი, GIZ, IRZ, 2014.

⁸³ ვაშაკიძე გ. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით-აბსრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10, N1, 2007, 24.

⁸⁴ ლაშა ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით-სამართლებრივი ანაზილი) გვ. 197. თბილისი, გამ. "იურისტების სამყარო" 2016.

ასევე წარმოადგენს კორპორაციის დირექტორატისთვის კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულების დაკისრება, რაც გულისხმობს დირექტორის ვალდებულებას იმოქმედოს კორპორაციის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და მოიცავს კორპორაციის როგორც მთლიანი და დამოუკიდებელი იურიდიული პირის, ასევე დასაქმებულთა და კრედიტორთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას. მოვალეობები, რომლებიც დირექტორატს აკისრია კორპორაციის წინაშე, ცნობილია ფიდუციური მოვალეობების სახელით.⁸⁵ საქართველოს საკორპორაციო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების გამოვლინებას წარმოადგენს მწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი მოვალეობები.

ამასთან საკორპორაციო სამართალში მოქმედებს სამეწარმეო განსჯის წესი (business judgment rule). დელავერის კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს ფუნდამენტური პრინციპს, რომლის საფუძველზე დელავერის კორპორაციები იმართება დირექტორატის (board of directors) მიერ. business judgment rule-ის მიზანია უზრუნველყოს და დაიცვას დირექტორთა მენეჯერული გადაწყვეტილებები ბიზნესის რისკებისგან.⁸⁶

გამჭოლი პასუხისმგებლობა არ არის რეგულირებული საკანონმდებლო დონეზე, შესაბამისად ეფუძნება კერძო სამართალში მოქმედ ზოგად პრინციპებს. კორპორაციული საფარველის გაჭოლვისას სასამართლოები წყვეტენ კეთილსინდისიერების პრინციპის კონკურენციის საკითხს კანონიერებისა და დამფუძნებელთა შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპთან.⁸⁷ სასამართლო მიმართავს გამჭოლ პასუხისმგებლობას უკიდურესი ღონისძიების სახით, როდესაც სამართლიანი ბალანსი

⁸⁵ იქვე 190.

⁸⁶ იხ.: stephen M. Bainbridge, The Business Judgment Rule as Abstention Doctrine, 57(1) vanderbilt Law review 83 (2004); ასევე ლაშა ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) თბილისი, გამ. "იურისტების სამყარო" 2016.

⁸⁷ tikhon Podshivalov, Protection of Property Rights Based on the Doctrine of Piercing the Corporate Veil in the Russian Case Law, 6(2) russian Law Journal 39–72 (2018) 42.

მოითხოვს კეთილსინდისიერი მხარის უფლების დაცვის ეფექტური მექანიზმით უზრუნველყოფას.⁸⁸

2.3 გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი სახელშეკრულებო და დელიქტურ ურთიერთობებში

ფაქტი, რომ კრედიტორები შეზღუდულნი არიან კორპორაციის ქონებით, უპირატესობას წარმოადგენს კორპორაციისთვის.⁸⁹ რისკების შეზღუდვა, რომლებიც დაკავშირებულია განხორციელებულ ინვესტიციებთან, პოტენციურ აქციონერთა გადაწყვეტილებებზე დადებით გავლენას ახდენს.⁹⁰ როგორც გამოუკიდებელი იურიდიული პირი, კორპორაცია სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმყოფება მესამე პირებთან. შესაბამისად ამ ურთიერთობებიდან მოთხოვნის წარმოშობის შემთხვევაში მისი კრედიტორები წარმოადგენენ სახელშეკრულებო კრედიტორებს, თუმცა ურთიერთობა კორპორაციასა და მესამე პირებს შორის შესაძლოა დელიქტის საფუძველზეც წარმოიშვას.

სახელშეკრულებო ურთიერთობისას კრედიტორი თავად არჩევს მხარეს, რომელთანაც შედის ურთიერთობაში და აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს და გამოიკვლიოს ინფორმაცია კორპორაციის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით, ამასთან მხარე ფლობს ინფორმაციას კორპორაციის შეზღუდული პასუხისმგებლობის შესახებ. კრედიტორს შეუძლია მიმართოს Due Diligence-ს, რომლის მეშვეობით, ხელშეკრულების დადებამდე შესაძლებელია სამიზნე ბიზნესის შესწავლა და ინფორმაციის მოპოვება მისი

⁸⁸ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუნარიანობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 63

⁸⁹ ლაშა ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით-სამართლებრივი ანაზილი) თბილისი, გამ. "იურისტების სამყარო" 2016,

⁹⁰

აქტივებისა და პასივების შესახებ. სახელშეკრულებო კრედიტორებს აქვთ შესაძლებლობა მოითხოვონ გარანტია, ან სხვა სახის უზრუნველყოფა.⁹¹

განსხვავებული მდგომარეობაა დელიქტის შედეგად წარმოშობილ კრედიტორებთან მიმართებაში, ვინაიდან მათ თავად არ შეუძრევიათ კონტრაქტი და სახელშეკრულებო კრედიტორებთან შედარებით ნაკლებ თავდაცვის საშუალებებს ფლობენ.⁹²

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის დაძლევა შესაძლებელია, როგორც სახელშეკრულებო, ასევე დელიქტური ურთიერთობებისას, თუმცა დელიქტის შემთხვევაში კრედიტორებს უფრო მეტი შანსი აქვთ კორპორაციული საფარველის გაჭოვლის, რადგან მათ ნებაყოფლობითობის საფუძველზე არ აურჩევიათ კორპორაციისთან ურთიერთობა.⁹³ მკვლევარების აზრით, სახელშეკრულებო კრედიტორებთან შედარებით, დელიქტის შედეგად წარმოშობილ კრედიტორებს უნდა დაეკისროთ ნაკლები მტკიცების ტვირთი. არგუმენტად მითითებულია, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობისას, კრედიტორებს აქვთ შესაძლებლობა გამოიკვლიონ კორპორაციის ფინანსური მდგომარეობა, რომელთანაც შედიან ურთიერთობაში და წინასწარ განსაზღვრონ რისკები.⁹⁴ იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაციის ქონება არ არის საკმარისი დელიქტური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, პარტნიორს არ უნდა მიენიჭოს შეზღუდული პასუხისმგებლობა და თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კრედიტორი არ უნდა იყოს შეზღუდილი კორპორაციის ქონებით.⁹⁵

⁹¹ ლაშა ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით-სამართლებრივი ანაზილი) თბილისი, გამ. "იურისტების სამყარო" 2016,

⁹² იქვე.

⁹³ Robert B. Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, 76 Cornell L. Rev. 1036 (1991) Available at: <http://scholarship.law.cornell.edu/clr/vol76/iss5/2>, 1059

⁹⁴ Figueroa, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012, 731.

⁹⁵ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 169

სტატისტიკის თანახმად, სასამართლოები უფრო ხშირად მიმართვენ კორპორაციული საფარველის გაჭოლვას სახელშეკრულებო ურთიერთობისას. აღნიშნულის მიზეზი შესაძლოა იყოს გარემოება, რომ დელიქტების უმეტესობის ანაზღაურება ხდება სადაზღვევო კომპანიების მიერ, ან კორპორაციებისთვის იურიდიული მომსახურების უფრო მაღალი ხარისხის ხელმისაწვდომობა ფიზიკურ პირებთან შედარებით.⁹⁶ იგივე ტენდენციას ადასტურებს რობერტ ტომფსონის კვლევა, რომლის მიხედვით სასამართლო უფრო ხშირად იყენებს კორპორაციული საფარველის გაჭოლვას სახელშეკრულებო კრედიტორების შემთხვევაში (41.98%), დელიქტურ ზიანთან შედარებით (30.97%).⁹⁷

⁹⁶ Figueroa, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012, 732.

⁹⁷ Robert B. Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, 76 Cornell L. Rev. 1036 (1991) Available at: <http://scholarship.law.cornell.edu/clr/vol76/iss5/2>, 1058

3. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების წინაპირობები და საფუძვლები

3.1 გამჭოლი პასუხისმგებლობის მხარდამჭერი თეორიები

კორპორაციის განცალკევებულობა დამატებითი ვალდებულებებისაგან იცავს იმ პირებს, რომლებიც კორპორაციული საფარველის უკან იმყოფებიან.⁹⁸ აქციონერები არ აგებენ პასუხს კორპორაციის ქმედებებისა და ვალდებულებებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი პასუხისმგებელნი ხდებიან საკუთარი ქმედების გამო.⁹⁹ საფარველის გაჭოლვის საკითხის გადაწყვეტა თითქმის ყოველთვის მოსამართლეების მიერ კორპორაციული უკანონობის შესაფებასა და განსაზღვრის საკითხს ეყრდნობა.¹⁰⁰ როდესაც კორპორაციას არ შესწევს უნარი სრულად დააკმაყოფილოს კრედიტორთა მოთხოვნები, კრედიტორთა სამიზნედ კორპორაციის აქციონერები იქცევიან, მათკენ მიმართავენ საკუთარ მოთხოვნებს და ეცდებიან დაარწმუნონ სასამართლო კორპორაციული საფარველის გაჭოლვის გამოყენებასა და კორპორაციული ფორმის უგულებელყოფაში.¹⁰¹

გამჭოლ პასუხისმგებლობას საფუძვლად უნდა დაედოს ალტერ ეგოს თეორია ან ინსტრუმენტალურობის წესი, რომელთა მეშვეობით დასტურდება კორპორაციული ფორმის ბოტორად გამოყენება.¹⁰² ალტერ ეგოს დოქრინისა და ინსტრუმენტალური წესის გამოყენების საფუძველზე, სასამართლოები ადგენენ, რომ თუ კორპორაცია წარმოადგენს მხოლოდ აქციონერის მეორე მეს ან ბიზნესგამოყენების საშუალებას, იგი

⁹⁸ Robert B. Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study , 76 Cornell L. Rev. 1036 (1991) Available at: <http://scholarship.law.cornell.edu/clr/vol76/iss5/2>, 1041.

⁹⁹ MODEL BUSINESS CORP.Ac-r § 6.22(b) (1985). 3rd Edition.

¹⁰⁰ იქვე.

¹⁰¹ Macey, Jonathan, "FINDING ORDER IN THE MORASS: THE THREE REAL JUSTIFICATIONS FOR PIERCING THE CORPORATE VEIL" (2014). Faculty Scholarship Series. Paper 4925. http://digitalcommons.law.yale.edu/fss_papers/4925. 105.

¹⁰² ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 130

შესაძლებელია უგულებელყოფილი იქნას სამართლიანი ქმედების უზრუნველყოფის ინტერესის გათვალისწინებით.¹⁰³ ალტერ ეგოს დოქტრინა გამოიყენება აქციონერისთვის ან მფლობელისთვის პირდაპირი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის, როდესაც მათ მიერ კორპორაციის გამოყენება არამიზნობრივი დანიშნულებით ხდება და აღნიშნულის გამო ზიანი ადგება როგორც თავად კორპორაციას, ასევე მასთან დაკავშირებულ მესამე პირებს.¹⁰⁴

სასამართლო საკითხს იხილავს კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. 1921 წლის კალიფორნიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე *Minifie v. Rowley* სასამართლომ განსაზღვრა ელემენტები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს კორპორაციის აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი. სასამართლომ აღნიშნა, რომ კორპორაციის აქციონერისგან განცალკევებული პასუხისმგებლობის არსებობა წარმოადგენს საკანონმდებლო პრივილეგიას, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს ლეგიტიმური ბიზნეს საქმიანობისთვის და არავინს უნდა შეეძლოს ბოროტად გამოიყენოს შეზღუდული პასუხისმგებლობა. სწორედ აღნიშნული საქმე დაედო საფუძვლად ალტერ ეგოს დოქტრინის ჩამოყალიბებას, რომელიც მას შემდეგ ვითარდება, როგორც სამართლის შემადგენელი ნაწილი.¹⁰⁵

კორპორაციის პარტნიორებისთვის იმ სიკეთით სარგებლობა, რაც პასუხისმგებლობის შეზღუდვას აქვს, დასაშვებია კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით კორპორაციის მართვის შემთხვევაში. სიცრუის ან თაღლითობის ელემენტის არსებობა, შეიძლება საფუძვლად დაედოს ალტერ ეგოს დოქტრინის გამოყენების დასაბუთებას. ამასთან მოსარჩელემ

¹⁰³ Marcos Ibarguen Segovia, *The Corporate Entity and Piercing the Corporate Veil*, New York University School of Law, ID #999-114451, April 7, 1994, 8.

¹⁰⁴ Jennifer J. Hagan, *THE ALTER-EGO DOCTRINE EXCEPTION IN CALIFORNIA CORPORATE LAW* Esq. Rev. July, 2007, 1.

¹⁰⁵ *Minifie v. Rowley* 187 Cal. 481 (Cal. 1921) • 202 P. 673 Decided Dec 6, 1921. ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/minifie-v-rowley>

უნდა დაამტკიცოს, რომ კორპორაცია გამოიყენებოდა უკანონო მიზნებისთვის, იმყოფებოდა დომინანტური მხარის დაქვემდებარებაში და გამოიყენებოდა მისი მიზნების რეალიზებისთვის.¹⁰⁶

არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების და მართვის შემთხვევაში, კრედიტორებისთვის წარმოიშობა დამატებითი რისკები და იმ შედეგების მიღწევა რაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის მოქმედებით არის შესაძლებელი, ვერ განხორციელდება არაკეთილსინდისიერების პირობებში.

¹⁰⁷ ალტერ ეგოს დოქტრინა განკუთვნილია, კორპორაციული სამართლის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირის არამართლზომიერი ან თაღლითური მიზნებით გამოყენების პრევენციისთვის.¹⁰⁸

ძირითადად ორი პირობის არსებობა იწვევს შეზღუდული პასუხისმგებლობის უკუგდების შესაძლებლობას. პირველ შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს კორპორაციისა და აქციონერის ინტერესებსა და საკუთრებას შორის ისეთი ერთობა, როდესაც კორპორაციისა და აქციონერის იდენტობას შორის ზღვარი ფაქტობრივად აღარ არსებობს და მეორე, თუკი შეზღუდული პასუხისმგებლობის გამოყენება, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თაღლითობის ან უსამართლობის სანქცირება.¹⁰⁹

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ალტერ ეგოს დოქტრინა არის გამონაკლისი ზოგადი წესიდან, წარმოადგენს სამართლიან საშუალებას უსამართლობის თავიდან ასაცილებლად, სასამართლო არ არის ვალდებული გამოიყენოს ალტერ ეგოს დოქტრინა, მისი გამოყენება ხდება ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად,

¹⁰⁶ Marcos Ibarguen Segovia, *The Corporate Entity and Piercing The Corporate Veil*, New York University School of Law, ID #999-114451, April 7, 1994, 8.

¹⁰⁷ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ.

¹⁰⁸ Jennifer J. Hagan, *THE ALTER-EGO DOCTRINE EXCEPTION IN CALIFORNIA CORPORATE LAW* Esq. Rev. July, 2007, 1.

¹⁰⁹ Jennifer J. Hagan, *THE ALTER-EGO DOCTRINE EXCEPTION IN CALIFORNIA CORPORATE LAW* Esq. Rev. July, 2007, 2.

ალტერ ეგოს მიზანი გამოდინარეობს ფაქტებიდან და არა სამართლიდან, და ბოლოს, ვინაიდან წარმოადგენს საგამონაკლისო ღონისძიებას, როგორც სამართლიანობის აღდგენის საშუალება, არ არსებობს უფლება საქმის ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილვის მოთხოვნისთვის.¹¹⁰

3.2. გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლების დადგენის ტესტი

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლები სასამართლოების მხრიდან სიფრთხილით მიდგომას საჭიროებს, რადგან როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ეს საფუძვლები ფაქტობრივად უსაზღვროა.¹¹¹ პროფესორ მორის ვორსმერის ტესტი, რომელიც 1912 წელს იქნა წარმოდგენილი, უარყოფს კორპორაციული საფარველით აქციონერის დაცულობის შესაძლებლობას, როდესაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმა გამოყენებულია კრედიტორთა მოტყუების მიზნით, ვალდებულების შესრულებისაგან თავის ასარიდებლად, მონოპოლიური მდგომარეობის დასამყარებლად ან დანაშაულის ჩასადენად. ამ კონტექსტში თაღლითობის ცნება მოიაზრება გამჭოლი პასუხისმგებლობის მთავარ ელემენტად და სწორედ თაღლითობა ან არასწორი წარმოდგენის შექმნა არის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი საფუძველი მსგავს საქმეებში.¹¹² აღნიშნული მოდელი ეფუძნება შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიის მართლზომიერი გამოყენების იდეას.¹¹³

ფრედერიკ პაუელმა გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლების სისტემატიზაცია მშობელ-შვილობილი კორპორაციების კონტექსტში მოახდინა და კვლევა ასახა 1931 წელს გამოცემულ ნაშრომში. პაუელის

¹¹⁰ Jennifer J. Hagan, Esq. THE ALTER-EGO DOCTRINE EXCEPTION IN CALIFORNIA CORPORATE LAW, Rev. July, 2007, 5.

¹¹¹ Figueroa, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012, 719.

¹¹² იქვე.

¹¹³ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 73.

ტესტი მოიცავს იმ საკითხების ჩამონათვალს, რომელიც საფუძვლად უდევს კორპორაციის საფარველის გაჭოლვის დასაბუთებას და გამოიყენება სასამართლოების მიერ, როგორც მშობელ-შვილობილი კორპორაციების, ასევე ინდივიდუალური პარტნიორის პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის.¹¹⁴ პაუელის თეორიის მიხედვით არსებობს სამსაფეხურიანი ტესტი, რომლის ყველა კომპონენტის არსებობაა საჭირო კორპორაციული საფარველის გაჭოლვისთვის. საწყის ეტაპზე უნდა შემოწმდეს წარმოადგენდა თუ არა დედა კომპანია შვილობილის ალტერ ეგოს, ან გამოიყენებოდა თუ არა შვილობილი კორპორაცია როგორც ინსტრუმენტი დედა კორპორაციის მიერ. ადგილი უნდა ჰქონდეს დედა კორპორაციის მხრიდან სრულ კონტროლსა და დომინირებას შვილობილზე. შემდგომ ეტაპზე უნდა დადგინდეს აქვს თუა არა ადგილი არამართლზომიერ ქმედებას, თაღლითობას ან უსამართლობას. მესამე საკითხი, რომელიც უნდა დადგინდეს, გულისხმობს მოსარჩელისთვის ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის არსებობას.¹¹⁵ ალტერ ეგოს ან ინსტრუმენტალურობის წესის სისტემატიზაციის მიზნით, პაუელმა შეიმუშავა თერთმეტპუნქტიანი ტესტი:

1. წარმოადგენილია თუ არა დედა კორპორაცია შვილობილ კომპანიაში სრულად ან წილთა უმრავლესობით;
2. ჰყავთ თუ არა მათ საერთო დირექტორატი;
3. ფინანსდება თუ არა შვილობილი კორპორაცია დედა კორპორაციის მიერ;
4. შვილობილი კორპორაცია არის თუ არა არასათანადოდ კაპიტალიზებული;
5. დედა კორპორაციის მიერ ხარჯების ან დანაკარგების ანაზღაურება (მათ შორის სახელფასო ანაზღაურება);

¹¹⁴ იქვე 73

¹¹⁵ Figueroa, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012, 719.

6. ეწევა თუ არა შვილობილი კომპანია დამოუკიდებელ ბიზნესსაქმიანობას;
7. გააჩნია თუ არა შვილობილს სხვა ქონება გარდა იმისა რაც დედა კომპანიამ გადასცა;
8. მიჩნეულია თუ არა დედა კომპანიის მიერ შვილობილი საკუთარი კორპორაციული სტრუქტურის ნაწილად, (დასტურდება თუ არა აღნიშნული გარემოება დედა კომპანიის შიდა დოკუმენტაციით, აღიარებულია თუ არა შვილობილის აქტივი ან/და ვალდებულებები დედა კორპორაციის მიერ, როგორც საკუთარი);
9. გამოყენებულია თუ არა შვილობილი კომპანიის ქონება დედა კორპორაციის მიერ, როგორც საკუთარი;
10. არის თუ არა შვილობილი კომპანიის დირექტორატი დამოუკიდებელი საქმიანობაში, ემორჩილება თუ არა დედა კორპორაციის მითითებებს;
11. დაცულია თუ არა შვილობილი კორპორაციის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის მიმართ დადგენილი ფორმალური მოთხოვნები.¹¹⁶

პაუელმა მეორე საფეხურზე შესამოწმებელი გარემოებების დადგენის მიზნით შეიმუშავა შვიდპუნქტიანი ქვეტესტი, რომელმაც უნდა გასცეს პასუხი კითხვას, ჰქონდა თუ არა ადგილი არამართლზომიერ ქმედებას, თაღლითობას ან უსამართლობას:

1. აქვს თუ არა ადგილი ფაქტობრივ თაღლითობას;
2. აქვს თუ არა ადგილი შვილობილის გამოყენებას დადგენილი წესების შესრულების თავიდან ასარიდებლად;
3. მიითვისა თუ არა დედა კორპორაციამ შვილობილის აქტივები;
4. გამოყენებულია თუ არა შვილობილი კომპანია სხვა პირების შეცდომაში შეყვანის მიზნით;

¹¹⁶ Figueroa Dante, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012, 722.

5. გამოყენებული იყო თუ არა ესტოპელის წესი ¹¹⁷ დედა კორპორაციის სასარგებლოდ;
6. გამოყენებულია თუ არა შვილობილი დელიქტის განსახორციელებლად;
7. ადგილი ჰქონდა თუ არა არამართლზომიერი და უსამართლო ქმედების განხორციელების სხვა შემთხვევებს. ¹¹⁸

პაუელის ტესტი სასამართლოების მიერ გამოიყენება გარკვეული სახეცვლილებებით, ¹¹⁹ მაგალითად, ნიუ იორკის სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ინსტრუმენტალურობის ტესტი საქმეზე *Lowendahl v. Baltimore & Ohio Railroad Co.* და დაადგინა, რომ დომინირება გულისხმობს აბსოლუტურ კონტროლს და შვილობილი კორპორაციის კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს გარიგების პროცესში, ისე რომ იგი არ უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებლად ნების გამომხატველ სუბიექტს. მოპასუხის მიერ ასეთი კონტროლი გამოიყენება თაღლითობის, არამართლზომიერი ან უსამართლო ქმედების განხორციელებისთვის, მოსარჩელეთა უფლებების საწინააღმდეგოდ. ამასთან ზემოაღნიშნული კონტროლისა და მოვალეობების დარღვევის შემთხვევებმა უნდა გამოიწვიოს ზიანი მიყენების, ან დანაკარგის დადგომის ის ფაქტი, რომლის ანაზღაურებასაც ითხოვს მოსარჩელე. ¹²⁰ რამდენიმე საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ თუ დადსტურებული იქნება ინსტრუმენტალურობის წესის მოთხოვნები, არამართლზომიერი ქმედების არსებობა უფრო მარტვად დასადგენი გახდება. მაგალითად *Consolidated Sun Ray, Inc. v. Oppenstein*, citing *May Department Stores Co. v. Union Electric Light & Power Co* საქმეზე, აშშ-ს სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ

¹¹⁷

¹¹⁸ Figueroa Dante, *Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America*, 50 *Duquesne Law Review* 683, 2012, 724.

¹¹⁹ Thomas K. Cheng, *The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines*, 34 *B.C. Int'l & Comp. L. Rev.* 329 (2011), 348. <http://lawdigitalcommons.bc.edu/iclr/vol34/iss2/2>

¹²⁰ Figueroa Dante, *Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America*, 50 *Duquesne Law Review* 683, 2012, 721.

არასათანადო კაპიტალიზაცია და აქტივების გამოცლა დედა კორპორაციის მიერ, საკმარისი მტკიცებულებაა არამართლზომიერი ქმედების დასადგენად.¹²¹

პაუელის სამსაფეხურიანი ტესტი თანამედროვე სასამართლო პრაქტიკაშიც გამოიყენება. ოჰაიოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე *Belvedere Condominium Unit Owners' Association. v. R.E. Roark Cos., Inc.* გამოიყენა პაუელის ტესტი მცირედი ცვლილებით, რომელიც ბელვედერის ტესტის სახელით არის ცნობილი და დასადგენი გარემოებები განსაზღვრა შემდეგნაირად:

1. წარმოადგენს თუ არა კორპორაცია პარტნიორის ალტერ ეგოს, კერძოდ უნდა განისაზღვროს პარტნიორის მიერ კორპორაციის პირადი მიზნებისთვის გამოყენების ხარისხი არის თუ არა იმდენად მაღალი, რომ მათი განსხვავება პრაქტიკულად შეუძლებელია;
2. გამოიყენებოდა თუ არა კორპორაციაზე კონტროლი თაღლითობის ან არამართლზომიერი მიზნების მისაღწევად და
3. მიადგა თუ არა ზიანი მოსარჩელეს წინა ორი გარემოების ურთიერთკავშირის შედეგად.¹²²

1978 წლის ნაშრომში, ქეით და ჯეიმს ქრენდელებმა წარმოადგინეს პაუელის ტესტის საფუძველზე შემუშავებული ახლებური მიდგომა მშობელ-შვილობილი კორპორაციის კონტექსტში. ქრენდელების ტესტი მოიცავს ასევე სამ საფეხურს, კერძოდ:

1. დედა კორპორაციის დომინირება შვილობილ კორპორაციაზე;
2. არამართლზომიერი მიზანი;

¹²¹ Figueroa Dante, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 *Duquesne Law Review* 683, 2012, 724. დეტალურად იხ.: *Consolidated Sun Ray, Inc. v. Oppenstein* და citing *May Department Stores Co. v. Union Electric Light & Power Co* ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/consolidated-sun-ray-inc-v-oppenstein>

¹²² Margaret A. Sweeney, Case Comment, Piercing the Corporate Veil in Ohio: The Need for a New Standard following *Dombroski v. Wellpoint, Inc.*, 57 *Clev. St. L. Rev.* 954-957 (2009), 956. შეად./იხილეთ: [Cite as *Dombroski v. WellPoint, Inc.*, 119 *Ohio St.3d* 506, 2008-Ohio-4827.] ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ohio.gov/rod/docs/pdf/0/2008/2008-Ohio-4827.pdf>

3. საჯარო წესრიგი, რისკის მატარებელი სუბიექტის განსაზღვრის მიზნებისთვის.¹²³

ქრენდელებმა ასევე განსაზღვრეს 31 პუნქტიანი სია, რომელიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს.¹²⁴ დასახელებული ფაქტორების ერთობლიობაში არსებობა არ არის აუცილებელი გამჭოლი პასუხისმგებლობის დადგომისთვის. კორპორაციული საფარველის შენარჩუნების მიზნით დაცული უნდა იყოს აღნიშნული ფაქტორები და საჯარო წესრიგის ფუნდამენტური მოთხოვნები.¹²⁵ ერთ-ერთ საქმეზე აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ გამჭოლი პასუხისმგებლობა განიხილა, როგორც სამართლიანობის აღდგენის საშუალება, იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაციული საფარველის გამოყენება საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ ხორციელდება.¹²⁶

3.3. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ფაქტობრივი წინაპირობები

საფარველის გაჭოლვის გამოყენება შესაძლოა აიხსნას, როგორც სამიდან ერთ-ერთი მიზნის მიღწევის საშუალება: 1. კონკრეტული მარეგულირებელი ან საკანონმდებლო ნორმით დადგენილი მიზნის მიღწევა; 2. თაღლითობის ან შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილება აქციონერთა მხრიდან და 3. კორპორაციის ფულადი სახსრების მიმღებთა

¹²³ დეტალურად იხ.: Figueroa Dante, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012,

¹²⁴ Figueroa Dante, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012, 725-726.

¹²⁵ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 77

¹²⁶ დეტალურად იხ.: Mark A. Finklestein, First National City Bank v Banco Para El Comercio Exterior de Cuba: Act of State and Choice of Law Aspects of Suing Foreign Governmental Corporations, 9 N.C. J. Int'l L. & Com. Reg. 147 (1983). Available at: <http://scholarship.law.unc.edu/ncilj/vol9/iss1/9> გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/supremecourt/text/462/611>

შორის უპირატესობის მინიჭებისა და მიზანმიმართული გაკოტრების ხელშეწყობის აღმოფხვრა.¹²⁷

გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საჭიროა არსებობდეს გარკვეული წინაპირობები, რომლებიც საფუძვლად დაედება შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფას. ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ალტერ ეგოს თეორიის ფარგლებში და სასამართლოების მიერ გამოიყენება საფარველის გაჭოლვის დასაბუთების მიზნით მოიცავს არასათანადო კაპიტალიზაციას, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობას, დივიდენდების გაუნაწილებლობას აქციონერებს შორის, ან არასათანადო განაწილებას.¹²⁸ სასამართლოს მიერ DeWitt Truck Brokers v. W. Ray Fleming Fruit Co. საქმეზე შემუშავებული იყო სარჩელის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავდა იმ ფაქტორების ჩამონათვალს, რომელიც სასამართლოს შესაფებით შეიძლება გამხდარიყო გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი: 1. არასათანადო კაპიტალიზაცია; 2. კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა; 3. დივიდენდების განაწილება; 4. კორპორაციის გადახდისუნარობა; 5. დომინანტი აქციონერების მიერ კორპორაციული ფონდების გადანაწილება; 6. მმართველობითი ფუნქციის განხორციელება მოპასუხის და არა დირექტორატის მიერ; 7. კორპორაციული ჩანაწერების არარსებობა; 8. კორპორაციულ საქმიანობაში აქციონერების ჩართულობის არარსებობა.¹²⁹

ეროვნულ კანონმდებლობაში გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას მხოლოდ მშკ-ს მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი იძლევა. ამ დანაწესის თანახმად, პირადი პასუხისმგებლობის დადგენის შესაძლებლობა მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის

¹²⁷ Macey, Jonathan, "FINDING ORDER IN THE MORASS: THE THREE REAL JUSTIFICATIONS FOR PIERCING THE CORPORATE VEIL" (2014). Faculty Scholarship Series. Paper 4925.102. http://digitalcommons.law.yale.edu/fss_papers/4925

¹²⁸ Harvey Gelb, Piercing the Corporate Veil—The Undercapitalization Factor, 59 Chi.-Kent L. Rev. 1 (1982), 3. Available at: <https://scholarship.kentlaw.iit.edu/cklawreview/vol59/iss1/2>

¹²⁹ Franklin A. Gevurtz, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, 76 Or. L. Rev. 853 (1997), 857. დეტალურად იხილეთ : DeWitt Truck Brokers v. W. Ray Fleming Fruit Co. ხელმისაწვდომია: <https://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/F2/540/681/468670/>

ბოროტად გამოყენების დროს არის შესაძლებელი. დღეს მოქმედი ნორმა არ აკონკრეტებს გარემოებათა წრეს, რომლებიც მიიჩნევა „ბოტორად გამოყენებად“. ნორმის თავდაპირველ რედაქციაში შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოტორად გამოყენება განმარტებული იყო, როგორც საზოგადოების ქონების შერევა სხვა ქონებასთან, ასევე საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კაპიტალის არასრული ფორმირება.¹³⁰ კანონმდებლის ისტორიული ნებიდან გამომდინარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენებაში შეიძლება მოვიაზროთ ქონების აღრევა და არასათანადო კაპირლიზაცია, როგორც პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტობრივი საფუძველი.

კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დასაბუთების მიზნით, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს, რომ ადგილი ჰქონდა შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენებას, რაც თაღლითობის, ან უსამართლობის დაფუძნების წინაპირობა გახდა.¹³¹

აქციონერების მხრიდან აშკარად უსამართლო დამოკიდებულების გამომხატველია კორპორაციის კაპიტალის არასათანადოდ ფორმირება. არასათანადო კაპიტალიზაციის პირობებში კორპორაცია არ არის უზრუნველყოფილი იმ მინიმალური აქტივითა, რომელიც მას ესაჭიროება ბიზნესის ოპერირებისთვის, მისი მიზნებიდან გამომდინარე.¹³² კაპიტალიზაციის ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კორპორაციის დაფუძნების ეტაპზე და არა შემდგომ პერიოდში¹³³ და მიიჩნევა იმის მყარ მტკიცებულებად, რომ აქციონერების მიზანს არ წარმოადგენდა

¹³⁰ მეწარმეთა შესახებ კანონი 1994 წლის რედაქცია, მე-3 მუხლი მე-4 პუნქტი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=0>

¹³¹ გულაშვილი ნ. კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), გვ. 96. საკორპორაციო სამართლის კრებული I, (რედ. ირაკლი ბურდული) 2011.

¹³² Harvey Gelb, Piercing the Corporate Veil—The Undercapitalization Factor, 59 Chi.-Kent L. Rev. 1 (1982), 3. Available at: <https://scholarship.kentlaw.iit.edu/cklawreview/vol59/iss1/2>

¹³³ გულაშვილი ნ. კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), გვ. 92. საკორპორაციო სამართლის კრებული I, (რედ. ირაკლი ბურდული) 2011.

დამოუკიდებელი კორპორაციის შექმნა და შედეგად ვიღებთ კორპორაციას, რომელსაც არ შესწევს უნარი შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები.¹³⁴ ზოგადი წესის მიხედვით, კორპორაცია უნდა იყოს ადეკვატურად და სათანადოდ კაპიტალიზებული, რათა შეძლოს იმ მიზნების მიღწევა რისთვისაც დაფუძნდა. კორპორაციის არასათანადო კაპიტალიზაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც დაფუძნებისას, ასევე შემდგომ პერიოდში, კორპორაციიდან თანხების გადინების გზით, რასაც კორპორაცია გადახდისუუნარობამდე მიჰყავს.¹³⁵ მიუხედავად იმისა, რომ სათანადო კაპიტალიზაცია არ წარმოადგენს კანონმდებლობით პირდაპირ გაწერილ მოვალეობას,¹³⁶ ზოგიერთი ავტორი, გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, მით უფრო მშობელ-შვილობის კორპორაციებთან მიმართებაში.¹³⁷ არასათანადო კაპიტალიზაციზია, როგორც ერთადერთი საფუძველი გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისთვის მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნა, რომელიც პარტნიორს ავალდებულებს კაპიტალის შეტანას კორპორაციაში¹³⁸(საწესდებო კაპიტალი).¹³⁹

Minton V. Cavaney საქმეში კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ კორპორაციის არასათანადო კაპიტალიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა კორპორაციული საფარველის გაჭოლვის გამოყენებისას.

¹³⁴ Mark W. Page, The Undercapitalized Corporation and Illinois Corporate Veil-Piercing Law, Illinois Bar Journal, July 2000, Vol.88, N 7, P398. ხელმისაწვდომია: <https://www.isba.org/ibj/2000/07/theundercapitalizedcorporationandil>

¹³⁵ Marcos Ibarguen Segovia, The Corporate Entity and Piercing The Corporate Veil, New York University School of Law, ID #999-114451, April 7, 1994, 14.

¹³⁶ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 132

¹³⁷ Marcos Ibarguen Segovia, The Corporate Entity and Piercing The Corporate Veil, New York University School of Law, ID #999-114451, April 7, 1994, 14.

¹³⁸ მახარობლიშვილი გ. კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (Limited liability) და კორპორაციის საფარველით (entity shielding) დაცულობა, გვ.445, გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული 2016.

¹³⁹ კაპიტალის მნიშვნელობის შესახებ იხ.:

სასამართლომ მიუთითა, რომ არსებობდა უდავო მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ადგილი არ ჰქონია კორპორაციის ადეკვატური კაპიტალიზაციის მცდელობას. კორპორაციას არ გააჩნდა ღირებული აქტივი. მას იჯარით ჰქონდა აღებული აუზი, რომელსაც მართავდა და რომლის კონფისკაცია განხორციელდა საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო. კორპორაციის კაპიტალი იყო უმნიშვნელო განხორციელებულ საქმიანობასთან და შესაძლო დანაკარგის რისკებთან შედარებით.¹⁴⁰ ვისკონსინის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე Consumer's Co-op v. Olsen განმარტა, რომ არადეკვატურ კაპიტალიზაციასთან ერთად სახეზე უნდა იყოს კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა, რათა პარტნიორი ჩაითვალოს პირადად პასუხისმგებელ პირად.¹⁴¹ კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა ხშირად ფიგურირებს გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების საქმეებში და პროფესორ ტომპსონის კვლევის თანახმად შეადგენს 66.89 %.¹⁴² კორპორაციულ ფორმალობებს განეკუთვნება დამოუკიდებელი საბუღალტრო წიგნების ან სხვა სახის ანგარიშების დამოუკიდებლად წარმოება, კორპორაციული კრების დამოუკიდებლად ჩატარების მოთხოვნის დარღვევა.¹⁴³ კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა ყველა შემთხვევაში არ იწვევს პარტნიორის პირად პასუხისმგებლობას, არამედ საფუძველი ხდება მაშინ, როდესაც დარღვევების შედეგად კორპორაცია ვეღარ განიხილება განცალკევებულ სუბიექტად.¹⁴⁴ იმისათვის, რომ კორპორაციულ ფორმალობათა

¹⁴⁰ დეტალურად იხილეთ : Minton V. Cavaney, 56 Cal.2d 576 (Sept. 5, 1961) ხელმისაწვდომია: <https://law.justia.com/cases/california/supreme-court/2d/56/576.html>

¹⁴¹ დეტალურად იხ.: Consumer's Co-op v. Olsen 419 N.W.2d 211 (Wis.1998) ხელმისაწვდომია: <https://law.justia.com/cases/wisconsin/supreme-court/1988/86-1549-9.html>

¹⁴² Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, 76 Cornell Law Review 1036, 1991,1063.

¹⁴³ Dobson, Lifting the Veil in Four Countries: the Law of Argentina, England, France and the United States, International and Comparative Law Quarterly, Vol. 35. No.4 1986, 863. ხელმისაწვდომია: https://www.jstor.org/stable/759877?read-now=1&seq=25#page_scan_tab_contents [ბოლოს გამოხმობილია: 20.06.2019]

¹⁴⁴ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 149- 150

დაუცველობას მოჰყვეს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა, უნდა დადასტურდეს, რომ ფორმალობათა დაუცველობამ გავლენა მოახდინა მოსარჩელეზე.¹⁴⁵

ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქონების აღრევა, რაც გულისხმობს პარტნიორისა და კორპორაციის ქონების იმგვარად აღრევას, რომ შეუძლებელია დადგინდეს თუ ვის ეკუთვნის კონკრეტული ქონება, რასაც ხშირად თან ახლავს კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა.¹⁴⁶ ქონების აღრევის დროს იშლება ზღვარი კორპორაციას, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტსა და პარტნიორს შორის. ქონების აღრევა გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს კორპორაციის, პარტნიორის ან დედა კორპორაციის ქონება.¹⁴⁷ ქონების აღრევა შესაძლოა მიუთითებდეს მეორე პიროვნულობის არსებობაზე, როდესაც კორპორაციის ქონება გაერთიანებულია აქციონერის ქონებასთან, სასამართლო უფრო მარტივად დაადგენს, რომ კორპორაცია არ წარმოადგენს განცალკევებულ სუბიექტს მისი აქციონერისგან.¹⁴⁸ ქონების განცალკევებული რეჟიმის დარღვევა იძლევა კორპორაციისა და პარტნიორის ერთ სუბიექტად განხილვის საფუძველს.¹⁴⁹ კორპორაციისა და მისი წევრების აქტივებისა და ფულადი სახსრების ერთმანეთში აღრევა

¹⁴⁵ Franklin A. Gevurtz, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, 76 Or. L. Rev. 853 (1997), 866-869. *ob.*:Preston Farm & Ranch Supply, Inc. v. Bio-Zyme Enters., 615 S.W.2d 258, 262-63 (Tex. Civ.App. 1981). ხელმისაწვდომია: <https://law.justia.com/cases/texas/supreme-court/1981/c-379-0.html>

¹⁴⁶ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ.

¹⁴⁷ იქვე 144

¹⁴⁸ გულაშვილი ნ. კორპორაციული სააფრველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), გვ. 90. საკორპორაციო სამართლის კრებული I, (რედ. ირაკლი ბურდული) 2011.

¹⁴⁹ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 145

პასუხისმგებლობის ფონდის აღრევასაც იწვევს და რთულდება იმის დადგენა თუ ვინ არის პასუხისმგებელი წარმოშობილი ვალდებულებებისთვის, კორპორაცია თუ მისი პარტნიორი.¹⁵⁰ როდესაც პარტნიორი არ იცავს ქონებრივ განცალკევებულობას, იგი კარგავს უფლებას თავი დაიცვას შეზღუდული პასუხისმგებლობით მესამე პირებთან მიმართებაში,¹⁵¹ ვინაიდან ასეთი ტიპის აღრევა შესაძლოა მესამე პირის შეცდომაში შეყვანის საფუძველიც გახდეს.¹⁵²

როდესაც კორპორაცია უახლოვდება გადახდისუუნარობის ზინას, შესაძლოა პარტნიორებმა დაიწყონ კორპორაციიდან ქონების გადინება, რაც სხვადასხვა გზით შეიძლება განხორციელდეს. ქონების არაპირდაპირი ტრანსფერი შეიძლება განხორციელდეს მომგებიანი კომერციული შესაძლებლობების ცალკეულ წევრებს შორის გადანაწილებით, რის შედეგად კორპორაციულ ჯგუფში შემავალი ცალკეული პირები ბიზნეს შესაძლებლობების გარეშე აღმოჩნდნენ. გამჭოლი პასუხისმგებლობის ამ საფუძველით დაკისრებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია პარტნიორის მიერ იმის გაცნობიერება, რომ კორპორაციას მისი ქმედების შედეგად ექმნებოდა გადახდისუუნარობის რისკი. არაპირდაპირი ტრანსფერის დროს ქონების პირდაპირი გადაცემა არ ხდება, თუმცა ამის შედეგად ცალკეული პარტნიორი ქონებრივ სარგებელს იღებს კორპორაციის ზარალის ხარჯზე.¹⁵³

¹⁵⁰ მახარობლიშვილი გ. კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (Limited liability) და კორპორაციის საფარველით (entity shielding) დაცულობა, გვ.444. გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული 2016.

¹⁵¹ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 146

¹⁵² მახარობლიშვილი გ. კორპორაციის სამართალსუბიექტობით დიფერენცირებული ორი ელემენტი: შეზღუდული პასუხისმგებლობა (Limited liability) და კორპორაციის საფარველით (entity shielding) დაცულობა, გვ.444. გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული 2016.

¹⁵³ იხ. ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 139-144.

4. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ნორმატიული საფუძვლები და სასამართლო პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყნებში

4.1. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საფუძვლები აშშ-ში

აშშ-ში გამჭოლი პასუხისმგებლობა დადგენილია სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე და წარმოადგენს სამოსამართლო სამართლის შედეგს, ამავდროულად არ არსებობს ერთიანი სტანდარტი. საფარველის გაჭოლვა, როგორც გამონაკლისი, შეზღუდული პასუხისმგებლობის ზოგადი წესიდან, შეიქმნა რათა შესაძლებელი ყოფილიყო უსამართლობის თავიდან აცილება.¹⁵⁴ მართლმსაჯულება მოქნილ სამართლებრივ სტანდარტს მოითხოვს, რომელიც დატოვებს ღია სივრცეს სამართლებრივი მოსაზრებების დასადგენად და სამართლიანი ბალანსის შესანარჩუნებლად.¹⁵⁵ სასამართლო არ უნდა იყოს შეზღუდული ნორმის არარსებობით,¹⁵⁶ სასამართლო წესით დაცვა გარანტირებულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მომწერსრიგებელი ნომრა არ არსებობს.¹⁵⁷ აშშ-ს სასამართლო სისტემამ აღიარა საკუთარი როლი, კორპორაციების მიერ სამართალდარევის აღკვეთის პრევენციის მიზნებთან მიმართებაში და გამოხატა ჩარევის მზადყოფნა მაშინ, როდესაც ამას კონკრეტული საქმიდან გამომდინარე სიტუაცია მოითხოვს.¹⁵⁸

გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრებისას მთავარ პრობლემას კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი წარმოადგენს.

¹⁵⁴ Thomas K. Cheng, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, 34 B.C. Int'l & Comp. L. Rev. 329 (2011), 330. <http://lawdigitalcommons.bc.edu/iclr/vol34/iss2/2>

¹⁵⁵ იქვე.

¹⁵⁶ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 166

¹⁵⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლი.

¹⁵⁸ Thomas K. Cheng, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, 34 B.C. Int'l & Comp. L. Rev. 329 (2011), 342-343. <http://lawdigitalcommons.bc.edu/iclr/vol34/iss2/2>

დამოუკიდებლობის ელემენტის არსებობა კორპორაციას საკუთარი სახელით მოქმედების შესაძლებლობას აძლევს და შესაბამისად თავადვეა პასუხისმგებელი განხორციელებულ ქმედებებზე. დამოუკიდებლობის არარსებობის გამო საფარველის გაჭოლისას სასამართლომ უნდა დაადგინოს პარტნიორის კონტროლის ხარისხი, კორპორაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გამოყენების მართლზომიერება და კორპორაციის კაპიტალიზაციის საკითხი.¹⁵⁹ აშშ-ში საფარველის გაჭოლ, კოვის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოების მიერ სამი ძირითადი წინაპირობის არსებობა უნდა დადასტურდეს, კერძოდ კონტროლი და დომინირება, თაღლითობა და პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება და მიზეზშედეგობრივი კავშირი ქნედასა და შედეგს შორის. კონტროლისა და დომინირების პირობებში, როდესაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმა გამოიყენება თაღლითობის ან უსამართლობის ჩადენის მიზნით, საჭიროა ასევე სახეზე იყოს მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, ვინაიდან მხოლოდ დომინირებისა და თაღლითობის არსებობა ვერ გახდება პასუხისმგებლობის საფუძველი თუ ამ ქმედებებს შედეგად არ მოჰყოლია მოსარჩელისთვის ზარალის დადგომა.¹⁶⁰

1944 წლის საქმეზე *Anderson v. Abbott* მიღებულ გადაწყვეტილებაში აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კორპორაციის პარტნიორს ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არ ახდენს კორპორაციის ადეკვატურ დაფინანსებას.¹⁶¹

თაღლითობის ელემენტის არსებობა ასევე ქმნის საფუძველს კორპორაციული საფარველის გაჭოლისთვის, მაგალითად საქმეზე *Pauley Petroleum Inc. v. Continental Oil*. დელავერის უზენაესმა სასამართლომ,

¹⁵⁹ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 167.

¹⁶⁰ Douglas G. Smith, *Piercing the Corporate Veil in Regulated Industries*, 2008 *BYU L. Rev.* 1165 (2008), 1182. Available at: <https://digitalcommons.law.byu.edu/lawreview/vol2008/iss4/3>

¹⁶¹ *Anderson v. Abbott*, 321 U.S. 349, 357 (1944). ხელმისაწვდომია: <https://caselaw.findlaw.com/us-supreme-court/321/349.html>

საფარველის გაჭოლვა დასაშვებად მიიჩნია, როდესაც აღნიშნული სამართლის ინტერესის საგანს წარმოადგენს და ამას მოითხოვს თაღლითობის, კანონის დარღვევის, არამართლობიერ ქმედების აღკვეთის მიზანი.¹⁶²

დელავერის სასამართლოები საფარველის გაჭოლვის საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვან წინაპირობად მიიჩნევენ კორპორაციის სათანადო კაპიტალიზაციას, გადახდისუნარიანობას, დივიდენდების განაწილების საკითხს, კორპორაციულ ფორმალობათა დაცულობას, დომინანტი აქციონერის მიერ კორპორაციის ფინანსებისა და კორპორაციის გამოყენებას საკუთარი მიზნებისათვის. საქმეზე *In re Sunbeam Corp.* სასამართლო დაადგინა, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვა შესაძლებელია, როდესაც ადგილი აქვს თაღლითობას, ან შვილობილის მართოდ ინსტრუმენტად გამოყენებას მისი მფლობელის მიერ, რის შედეგად იგი წარმოადგენს მფლობელის მეორე მეს.¹⁶³

საქმეზე *Aronson v. Price* ინდიანას უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საფარველის გაჭოლვის საკითხის გადაწყვეტისას მხარემ რომელიც ითხოვს პარტნიორისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებას, უნდა დაასაბუთოს, რომ კორპორაცია კონტროლდებოდა მფლობელის მიერ და შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა გამოყენებული იყო იმგავრად, რომ თაღლითობის ან უსამართლობის დაფუძნების წინაპირობა გახდა.¹⁶⁴

ნიუ-იორკის სასამართლომ საქმეზე *Berkey v. Third Avenue Railway Co* დაადგინა, მშობელ-შვილობილი კორპორაციების შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები, კერძოდ სასამართლომ მიუთითა, რომ დედა კორპორაციის პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ შვილობილი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას და საქმიანობას

¹⁶² *Continental Oil Co. v. Pauley Petroleum, Inc.*, 251 A.2d 824 (Del. 1969) ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/continental-oil-co-v-pauley-petroleum-inc>

¹⁶³ *In re Sunbeam Corp.*, 284 B.R. 355 (Bankr. S.D. N.Y. 2002). ხელმისაწვდომია: <https://www.courtlistener.com/opinion/1959879/in-re-sunbeam-corp/>

¹⁶⁴ *Aronson v. Price*, 644 N.E.2d 864 (Ind. 1995) ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/aronson-v-price>

ახორციელებს, როგორც განცალკევებული სუბიექტი, ამასთან ადგილი არ აქვს თაღლითობას ან უსამართლობას.¹⁶⁵

საქმეზე Kinney Shoe Corp. v. Polan.¹⁶⁶ ვირჯინიის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია ზოგადი წესის მიხედვით, კორპორაცია განცალკევებულია აქციონერებისაგან და მისი ვალების გადახდაზე პასუხს არ აგებენ, თუმცა განცალკევებულობის კონცეფცია წარმოადგენს ფიქციას. მისი შენარჩუნება საჭიროა თუ იგი რაიმე მიზნის მიღწევას ემსახურება, და არა მარტოდენ იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ უსამართლობას და არათანასწორუფლებიანობას. კორპორაციის ვალდებულებების განხილვა აქციონერთა ვალდებულებად, პრობლემის გადაჭრის სამართლიანი გზაა, თუმცა ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. სასამართლომ აღნიშნულ საქმეში გამოიყენა ორ საფეხურიანი ტესტი, რომლის დაფუძველზე დაადგინა, რომ არაადექვატური კაპიტალიზაცია, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობასთან ერთად იწვევს ზოგად უსამართლობას, რაც საკმარისი საფუძველია გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის.

ერთ-ერთ ბოლოდროინდელ საქმეზე Woodruff Construction, LLC v. Clark, No. 17-1422 (Iowa Ct. App. Aug. 15, 2018) აიოვას უზენაესმა სასამართლომ განმარტა, კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საფუძველები, იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაცია წარმოადგენს მატოდენ გარეგნულ კონსტრუქციას, რომელიც არ იცავს სამართლის მიერ დადგენილ მოთხოვნებს და ძირითადად გამოიყენება თაღლითური და უსამართლო მიზნების მისაღწევად. თუმცა ამ შემთხვევაში მოსარჩელე მხარემ უნდა დაამტკიცოს საფარველის გაჭოლვის წინაპირობების არსებობა, კერძოდ: 1. კორპორაცია არ არის სათანადოდ კაპიტალიზებული; 2. სათანადოდ არ მიმდინარეობს წიგნებისა და ჩანაწერების წარმოება; 3. კორპორაციის ქონება არ არის განცალკევებული პარტნიორის ქონებისაგან, ან პარტნიორის

¹⁶⁵ Berkey v. Third Avenue Railway Co., 244 N.Y. 84 (N.Y. 1926) ხელმისაწვდომია:<https://casetext.com/case/berkey-v-third-avenue-railway-co-1>

¹⁶⁶ Kinney Shoe Corp. v. Polan, 939 F.2d 209 (4th Cir. 1991) ხელმისაწვდომია:<https://casetext.com/case/kinney-shoe-corp-v-polan>

ინდივიდუალური ვალდებულებების გასტუმრება ხდება კორპორაციის ქონების ხარჯზე; 4. კორპორაცია გამოიყენება თაღლითობის ან უკანონობის ჩასადენად; 5. არ არის დაცული კორპორაციული ფორმალობები და 6. კორპორაცია წარმოადგენს უბრალოდ ფიქციას. განსახილველ საქმეზე სასამართლომ არ მიიჩნია საკმარისად მტკიცებულებები, რათა დაედგინა არასათანადო კაპიტალიზაციის ფაქტი, ვინაიდან ჩათვალა, რომ მრავალწლიანი საქმიანობის შემდეგ ფინანსური პრობლემების არსებობა, ვერ ჩაითვლებოდა იმის დასტურად, რომ კორპორაცია წარმოადგენდა მხოლოდ ინსტრუმენტს მფლობელთა ხელში და მიზნად არ ისახავდა რეალური ბინეს საქმიანობის განხორციელებას. თუმცა დაადასტურა ქონების განცალკევების რეჟიმის დარღვევა, კერძოდ საბანკო ანგარიშების აღრევა, კორპორაციის ქონების გამოყენება პირადი მიზნებისთვის, ასევე კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა და ჩანაწერების არასათანადო წარმოება. აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია მხოლოდ კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა არ არის საკმარისი საფუძველი, თუმცა სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში ქმნის მყარ ბაზას კორპორაციული საფარველის გაჭოლვისთვის.¹⁶⁷

როგორც განხილული გადაწყვეტილებებიდან ჩანს, სასამართლოები იყენებენ განსხვავებულ შეფასების სტანდარტებს გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრებისას, თუმცა მიზანი ყველა შემთხვევაში ერთნაირია და ემსახურება სამართლიანი ბალანსის აღდგენას, თაღლითობისა და უსამართლობის აღკვეთას და პასუხისმგებლობის ფორმის ბოტორად გამოყენების პრევენციას.

¹⁶⁷ Woodruff Construction, LLC v. Clark, No. 17-1422 (Iowa Ct. App. Aug. 15, 2018)
ხელმისაწვდომია: <https://www.iowacourts.gov/courtcases/2403/embed/CourtAppealsOpinion>

4.2. კორპორაციული საფარველის გაჭოლის საფუძვლები გერმანიაში

გერმანიაში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა ცნობილია „Durchgriffshaftung“-ის სახელით. გერმანიის კანონმდებლობა იცნობს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ინსტიტუტს და აღიარებს კორპორაციის განცალკევებულ სამართალსუბიექტობას,¹⁶⁸ თუმცა გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ხდება შეზღუდული პასუხისმგებლობის უკუგდება კრედიტორთა ინტერესების სასარგებლოდ.¹⁶⁹ გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ 1956 წელს დაადგინა, რომ კორპორაციის საქმიანობა განიხილება იმ მიზნებთან შესაბამისობაში, რომელიც დადგენილია სამართლის მიერ.¹⁷⁰ გერმანიის სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის თანახმად, კორპორაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება დაიშვება მხოლოდ კორპორაციის აქტივით,¹⁷¹ შესაბამისად მოთხოვნის მიმართვა მფობელთა პირადი ქონებისაკენ დასაშვებია მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში.¹⁷²

კორპორაციის აქციონერს ან წევრს შესაძლოა დაეკისროს პირადი პასუხისმგებლობა, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმას, ვალდებულებების თავიდან აცილების ან თაღლითობის გზით მესამე პირებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში.¹⁷³

¹⁶⁸ Maximilian Schiessl, The Liability of Corporations and Shareholders for the Capitalization and Obligations of Subsidiaries under German Law, 7 Nw. J. Int'l L. & Bus. 480 (1985-1986), 480.

¹⁶⁹ Carsten Alting, Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. & Int'l L. 187 (1994), 190. Available at: <http://digitalcommons.law.utulsa.edu/tjcil/vol2/iss2/4>

¹⁷⁰ ?????????????????

¹⁷¹ Maximilian Schiessl, The Liability of Corporations and Shareholders for the Capitalization and Obligations of Subsidiaries under German Law, 7 Nw. J. Int'l L. & Bus. 480 (1985-1986), 480.

¹⁷² Carsten Alting, Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. & Int'l L. 187 (1994), 191. Available at: <http://digitalcommons.law.utulsa.edu/tjcil/vol2/iss2/4>

¹⁷³ Carsten Alting, Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. & Int'l L. 187 (1994), 198. Available at: <http://digitalcommons.law.utulsa.edu/tjcil/vol2/iss2/4>

როგორც აშშ-ში, ასევე გერმანიაში სასამართლოები კორპორაციული საფარველი გაჭოლვას ახდენენ შედეგი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში: როდესაც სახეზეა კონტროლი და დომინირებული მდგომარეობა, არასათანადო კაპიტალიზაცია და როდესაც არ არის დაცული კორპორაციული ფორმალობები.

გერმანიაში კორპორაციული საფარველის გაჭოლვა უმეტეს შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან მიმართებაში დგება.¹⁷⁴ ჯერ კიდევ 1920 წელს გერმანიის იმპერიის სასამართლომ დაადგინა, რომ კორპორაცია ერთი აქციონერით უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთობა იმ შემთხვევაში თუ არსებული გარემოებები საფუძველს ამლევენ მოსამართლეს უკუაგდოს კორპორაციის განცალკევებულობა.¹⁷⁵ ამასთან პასუხისმგებლობის პრინციპის უკუგდება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც არსებობს პატივსადები საფუძველი სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების დასაცავად.¹⁷⁶ კორპორაციული ჯგუფების შემთხვევაში, დედა კორპორაციის პასუხისმგებლობა საკონცერნო სამართლით დადგენილი ნორმების საფუძველზე რეგულირდება, რომელიც აწესრიგებს ერთმანეთთან დაკავშირებული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის საკითხებს მესამე პირთა წინაშე.¹⁷⁷ გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ განავითარა მიდგომა, რომ შვილობილი კორპორაციის კრედიტორების წინაშე დედა კორპორაცია პასუხისმგებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩარევის

¹⁷⁴ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 95

¹⁷⁵ Maximilian Schiessl, The Liability of Corporations and Shareholders for the Capitalization and Obligations of Subsidiaries under German Law, 7 Nw. J. Int'l L. & Bus. 480 (1985-1986), 486.

¹⁷⁶ იქვე.

¹⁷⁷ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 97.

შედეგად ილახება შვილობილის დამოუკიდებლობა და ის ხდება გადახდისუუნარო.¹⁷⁸

დახურული და ღია ტიპის კორპორაციებს შორის არსებული განსხვავებების გამო, გერმანიის სასამართლოებმა დაადგინეს უფრო მაღალი სტანდარტის მოთხოვნები სააქციო საზოგადოებებთან მიმართებაში.¹⁷⁹ საკონცერნო სამართლით დადგენილი წესების შესაბამისად რეგულირდება საფარველის გაჭოლვის საკითხი სააქციო საზოგადოებების მიმართ.¹⁸⁰ პარტნიორისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრება ძირითადად გაკოტრების საქმისწარმოების მიმდინარეობის დროს ხდება და საფარველის გაჭოლვა მიიჩნევა, როგორც დამატებითი და უკიდურესი პასუხისმგებლობის ზომა.¹⁸¹ კრედიტორის მოსაზრება პარტნიორისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე არ არის აქტუალური, სანამ კორპორაცია არ დადგება ფინანსური პრობლემების წინაშე. მხოლოდ კორპორაციის გადახდიუუნარობის ზონასთან მიახლოებისას შეიძლება დადგეს პარტნიორის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა.¹⁸²

გერმანიაში მიიჩნევა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (GmbH) წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, რომელიც უფლებებსა და ვალდებულებებს იძენს საკუთარი სახელით და ფლობს განცალკევებულ ქონებას, შესაბამისად კომპანიის კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად განკუთვნილია შპს-ს აქტივები.¹⁸³ ამასთან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონი

¹⁷⁸ იქვე 99.

¹⁷⁹ Maximilian Schiessl, The Liability of Corporations and Shareholders for the Capitalization and Obligations of Subsidiaries under German Law, 7 Nw. J. Int'l L. & Bus. 480 (1985-1986)

¹⁸⁰ ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, გვ. 101.

¹⁸¹ Carsten Alting, Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. & Int'l L. 187 (1994), 197. Available at: <http://digitalcommons.law.utulsa.edu/tjcil/vol2/iss2/4>

¹⁸² იქვე.

¹⁸³ Limited Liability Companies Act. Section 13 (1-2) ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_gmbhg/englisch_gmbhg.html [ბოლოს გამოხმობილია 21.06.2019]

არ შეიცავს მკაფიო რეგულაციებს პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების შესახებ. ბუნდოვანი რეგულირების ხარვეზი აღმოიფხვრა გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიერ გამჭოლი პასუხისმგებლობის დადგენის საფუძველზე.¹⁸⁴ გერმანიის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, კორპორაციის შეზღუდული პასუხისმგებლობა უნდა იქნეს უგულებელყოფილი, თუ კომპანიის ეკონომიკური არსი განზრახ იქნა ხელყოფილი აქციონერების მიერ.¹⁸⁵ შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიით სარგებლობა შესაძლებელია იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული პრივილეგია არ არის გამოყენებული ბოროტად აქციონერების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საამართლომ დაადგინა, რომ ბოროტად გამოყენება წარმოადგენს საფარველის გაჭოლვის ძირითად წინაპირობას.¹⁸⁶

არასათანადო კაპიტალიზაცია შესაძლოა გახდეს გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. აშშ-სგან გასხვავებით გერმანული სამართალი საწესდებო კაპიტალის არსებობას სავალდებულოდ მიიჩნევს.¹⁸⁷ კორპორაცია არასათანადოდ არის კაპიტალიზებული, როდესაც მისი აქტივები არ არის საკმარისი არჩეული საქმიანობის განსახორციელებლად.¹⁸⁸ ნომინალური არასათანადო კაპიტალიზაციის დროს დარღვეულია კანონით დადგნილი მინიმალური კაპიტალის ფორმირების მოთხოვნები, ხოლო მატერიალურ არასათანადო კაპიტალიზაციას, რომელიც ულმერის ფორმულით გამოითვლება, ადგილი აქვს, როდესაც მფლობელები ნომინალური კაპიტალიზაციის გარდა არ

¹⁸⁴ Corporate Personality, International Perspectives Part I. Tobias Schulz, Germany. DLA Piper.2018. 22.

¹⁸⁵ Michael Görtz, The Federal Court of Justice's concept for piercing the corporate veil due to destruction of a German Limited Liability Company, Client Newsletter 9/2007 ხელმისაწვდომია:http://www.goertz.net/dokumente/piercing_the_corporate_veil.pdf

¹⁸⁶ Corporate Personality, International Perspectives Part I. Tobias Schulz, Germany. DLA Piper.2018. 22.

¹⁸⁷ Carsten Alting, Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. & Int'l L. 187 (1994), 207. Available at: <http://digitalcommons.law.utulsa.edu/tjcl/vol2/iss2/4>

¹⁸⁸ Maximilian Schiessl, The Liability of Corporations and Shareholders for the Capitalization and Obligations of Subsidiaries under German Law, 7 Nw. J. Int'l L. & Bus. 480 (1985-1986), 489

ახორციელებენ კორპორაციაში სათანადო ინვესტირებას, რაც გულისხმობს კორპორაციის ფინანსური რესურსებით არასაკმარისად აღჭურვას, ბიზნესის ბუნებასთან და მასშტაბებთან მიმართებაში.¹⁸⁹

კორპორაციულ ფორმალობათა დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს საფარველის გაჭოლვა და დადგეს აქციონერის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი, თუ დადასტურდება, რომ აღნიშნული დარღვევა საფუძვლად დაედო კრედიტორის შეცდომაში შეყვანას, რის გამოც მან ვერ შეძლო კონტრაქტის იდენტიფიცირება, მაგალითად თუ ორ კორპორაციას ერთი და იგივე სახელწოდება აქვს, აღნიშნული შეიძლება გახდეს კრედიტორის შეცდომაში შეყვანის საფუძველი.¹⁹⁰

ქონების აღრევა ასევე წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი შესაძლოა უგულებელყოფილი იყოს თუ პარტნიორის და კორპორაციის აქტივები ერთმანეთშია არეული.¹⁹¹ კარლსრუეს უმაღლესმა საოლქო სასამართლომ უგულებელყო კორპორაციის შეზღუდული პასუხისმგებლობა, იმ საფუძველით, რომ მისი ერთადერთი აქციონერის და კორპორაციის აქტივები არ იყო განცალკევებული ერთმანეთისაგან, რის საფუძველზეც სასამართლომ დაადგინა, რომ აქციონერი და კორპორაცია ერთი და იგივე პირს წარმოადგენდა. უფრო გვიანდელ საქმეში გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ აქციონერი ვალდებულია მკაფიოდ გამიჯნოს საკუთარი და კორპორაციის ქონება, რათა შესაძლებელი იყოს ამა თუ იმ ქონების კონკრეტულად რომელიმე მათგანისთვის მიკუთვნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია კორპორაციის წიგნები და ჩანაწერები გარკვევით იყოს წარმოებული.¹⁹²

¹⁸⁹ Carsten Alting, Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. & Int'l L. 187 (1994), 207. Available at: <http://digitalcommons.law.utulsa.edu/tjcil/vol2/iss2/4>

¹⁹⁰ იქვე 213.

¹⁹¹ იქვე 198.

¹⁹² Carsten Alting, Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. & Int'l L. 187 (1994), 215. Available at: <http://digitalcommons.law.utulsa.edu/tjcil/vol2/iss2/4>

როგორც ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, გერმანიაში მოქმედებს უფრო ფრთხილი მიდგომა კორპორაციის შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფასთან მიმართებაში და აღნიშნული საკითხი რეგულირდება, როგორც გერმანიის საკონცერნო ნორმების, ასევე სასამართლოების მიერ განვითარებული საფარველის გაჭოლვის დოქტრინის საფუძველზე. საფარველის გაჭოლვის ძირითადი წინაპირობა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის ბოროტად გამოყენებას უკავშირდება და მოქმედებს მხოლოდ კორპორაციის გადახდისუუნარობის დროს. რაც შეეხება ფაქტობრივ საფუძვლებს, გერმანიაში გამოიყენება აშშ-ს სასამართლოების მიერ დადგენილ გარემოებების იდენტური შემთხვევი.

4.3. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის რეგულირება საქართველოში

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობა გამოირიცხება იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორი ბოროტად გამოიყენებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას, რისი შედეგიც მისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებაა კორპორაციის ვალდებულებებისთვის. ნორმა არ აკონკრეტებს თუ რა იგულისხმება ბოროტად გამოყენებაში. 1994 წლის კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი იძლეოდა ბოროტად გამოყენების განმარტებას, კერძოდ: „ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების ქონების შერევა სხვა ქონებასთან ან საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კაპიტალის არასრული ფორმირება“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1994 წლის რედაქციით¹⁹³ გარდა ქონების შერევისა და კაპიტალის არასრული ფორმირებისა, პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა შეიძლება წარმოშობილიყო სხვა საფუძვლითაც. 1999 წელს კანონში შესული

¹⁹³ საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994 ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=0>

ცვლილების შედეგად¹⁹⁴ შეიცვალა ნორმის ფორმულირება და განისაზღვრა, რომ ბოროტად გამოყენება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც არ არის უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების წარმოება იმგვარად, რაც შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს თუ რომელი ქონება ეკუთვნის საზოგადოებას და რა ვალდებულებების მატარებელია. აღნიშნული ცვლილებით გაუქმდა კაპიტალის სრული ფორმირების მოთხოვნა, ასევე არ იქნა გათვალისწინებული პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების სხვა საფუძვლების არსებობის შესაძლებლობა. ფაქტობრივად ამ ცვლილების საფუძველზე დადგინდა მხოლოდ ერთი გამონაკლისი, რომლის არსებობის შემთხვევაში, საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი ვერ დაიცავდა თავს პირადი პასუხისმგებლობისაგან. 2008 წელს მეწარმეთა შესახებ კანონში ისევ განხორციელდა ცვლილება, რის შედეგად „ბოროტად გამოყენების“ განმარტება საერთოდ ამოღებულ იქნა.¹⁹⁵ აღნიშნული ცვლილების ფონზე ბოროტად გამოყენების საკითხის დადგენა საჭიროებს სასამართლოების მხრიდან განმარტებას ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2015 წელს მიღებული იქნა ორი გადაწყვეტილება, რომელიც შეზღუდული პარტნიორისთვის პირადი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტას უკავშირდებოდა.¹⁹⁶ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.6 მუხლის საფუძველზე სასამართლომ განმარტა „პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება“.¹⁹⁷ აღნიშნული გადაწყვეტილებები ეხება კორპორაციის საგადასახადო ვალდებულებებისთვის პარტნიორისა და დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განსაზღვრას. კრედიტორს განსახილველ საქმეში წარმოადგენდა სახელმწიფო, ხოლო პარტნიორი და

¹⁹⁴ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=7>

¹⁹⁵ მეწარმეთა შესახებ კანონის დღეს მოქმედი რედაქცია

ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=62>

¹⁹⁶ სუსგ. N ას-1307-1245-2014 და სუსგ N ას-1158-1104-2014

¹⁹⁷ გადაწყვეტილების დეტალური ანალიზი იხ. ჭანტურია ლ. პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების დარღვევისათვის (სამოსამართლო სამართლის სიახლე), 406. ნაკყები გ. -75 საიუბილეო კრებული, გამ. მერიდიანი, თბილისი, 2016.

დირექტორი ერთი და იგივე პირის სახით იყო წარმოდგენილი. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ იხელმძღვანელა მეწარმეთა შესახებ კანონის 3.6 მუხლით და უარი თქვა გამოეყენებინა სსკ 992-ე მუხლი, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას დელიქტის საფუძველზე.¹⁹⁸

სასამართლომ განმარტა, რომ საზოგადოების ვალდებულებებისათვის დირექტორთა და პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა უნდა დარეგულირდეს მეწარმეთა შესახებ კანონის 9.6 და 3.6 მუხლების საფუძველზე, ვინაიდან დირექტორისა და პარტნიორების სამართლებრივი მდგომარეობა ერთმანეთისაგან განსხვავებულია, შესაბამისად მათი პასუხისმგებლობის საფუძველიც არ არის ერთნაირი. ნაშრომის თემატიკის გათვალისწინებით, განხილული იქნება პარტნიორისასთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ პარტნიორის პასუხისმგებლობა სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა დადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების გზით, როდესაც მათ მხრიდან ადგილი აქვს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენებას.

გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი წარმოიშობა, როდესაც კომპანია გადახისუუნაროა, ხოლო კრედიტორი ამა თუ იმ მიზეზით მიიჩევს, რომ კომპანიის სახელით წარმოშობლ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მის პარტნიორს. შესაბამისად სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს თუ ვის დააკისროს წარმოშობილი დანაკარგი მესამე პირს თუ პარტნიორს. სასამართლომ მიიჩნია, რომ პასუხისმგებლობის პრინციპის უპირობო გამოყენება ყოველთვის კრედიტორს აზარალებს.

პალატამ მიიჩნია, რომ კანონის 3.6 ნორმა ფართო განმარტებას საჭიროებს და გულისხმობს როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას, ისე თავად შეზღუდული

¹⁹⁸ ჭანტურია ლ. პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების დარღვევისათვის (სამოსამართლო სამართლის სიახლე), 407. ნაწყებია გ. -75 საიუბილეო კრებული, გამ. მერიდიანი, თბილისი, 2016.

პასუხისმგებლობის ელემენტის ბოროტად გამოყენებას. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებაში იგულისხმება კორპორაციის გამოყენება, როგორც პარტნიორის მიზნის მიღწევის საშუალება, კორპორაციულ ფორმალობათა დარღვევა, კორპორაციის მეორე პიროვნულობის არსებობა, ხოლო პასუხისმგებლობის ელემენტში მოიაზრება პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიის მხოლოდ სხვისი ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენება და საკუთარი რისკისა და დანაკარგების სხვაზე გადაკისრება, რაც ხორციელდება კრედიტორის შეცდომაში შეყვანის გზით.¹⁹⁹

აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენას ადგილი აქვს, როდესაც იგი უშუალოდ ხელმძღვანელობს საზოგადოებას და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომლის მიზანს გადასახადებისაგან თავის არიდება წარმოადგენს და როდესაც საზოგადოება გამოყენებულია არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელე მხარეს.

მართალია უზენაესი სასამართლოს მიერ 2015 წელს მიღებული ორივე გადაწყვეტილება ეხებოდა პარტნიორისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებას, სახელმწიფოს წინაშე არსებული საგადასახადო ვალდებულებებისთვის, თუმცა მის ფარგლებში მოხდა პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების განმარტება და რაც მეტად მნიშვნელოვანია სასამართლომ გამოიყენა ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმა (მეწარმეთა შესახებ კანონის 3.6 მუხლი). შესაბამისად უზენაესი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებები თავისი მნიშვნელობით ძალზე საყურადღებოა. წარმოადგენს ქართულ საკორპორაციო სამართალში გამჭოლი პასუხისმგებლობის დამკვიდრების პირველ მცდელობას და

¹⁹⁹ დეტალურად იხ.: სუსგ. №ას-1307-1245-2014 და №ას-1158-1104-2014

საქართველოში სამოსამართლო სამართლის განვითარების ტენდენციაზე მიუთითებს.

II. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფა, არამედ აქვს პრევენციის ფუნქცია, რათა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის დაცვა პარტნიორთა და კრედიტორთა ინტერესებს შორის და აღკვეთოს კორპორაციის არამიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც მართლოდენ მათი პირადი მიზნების რეალიზებას ემსახურება.

საფარველის გაქოლვის საკითხი დგება მაშინ, როდესაც პარტნიორების მხრიდან ადგილი აქვს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენებას და საკუთარი რისკების მესამე პირებზე გადაკისრების მცდელობას. გამჭოლი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს იმ მოცემულობის აღდგენაში, რომელიც კორპორაციის მიზნობრივი მართვის შემთხვევაში იქნებოდა.

პარტნიორისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება კორპორაციული საფარველის გაქოლვის გზით, არ წარმოადგენს სტანდარტულ მექანიზმს კრედიტორთა მოთხოვნების უზრუნველსაყოფად და გამოიყენება მხოლოდ უკიდურესი ღონისძიების სახით იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორთა ლეგიტიმური ინტერესი მოითხოვს ამას და არ არსებობს ალტერნატიული გზა მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

გამჭოლ პასუხისმგებლობას საფუძვლად ედება გარკვეული წინაპირობები და ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადასტურება იძლევა შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფის სამართლებრივ შესაძლებლობას.

ცხადია, სამართალი მოკლებულია შესაძლებლობას ამომწურავად განსაზღვროს გარემოებები, რომელიც კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას გულისხმობს. სამართალმა უნდა უზრუნველყოს ურთიერთობების ეფექტური რეგულირება, რომელიც

ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას და კორპორაციების განვითარებას უკავშირდება. შესაბამისად კორპორაციის პასუხისმგებლობის ელემენტის ბოტორად გამოყენების შემთხვევების საკანონმდებლო აქტით ამომწურავი რეგულირება, ვერ იქნებოდა ეფექტური მექანიზმი დარღვეული უფლების დაცვის თვალსაზრისით.

სამართალშეფარდებისას გამჭოლი პასუხისმგებლობის დადგენის საკითხი რთულ ამონაცას წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ ერთის მხრივ არ უნდა მოხდეს მისი იმდენად გაფართოება, რომ დაირღვეს კორპორაციის შეზღუდული პასუხისმგებლობის არსი და მეორეს მხრივ არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და რეალურად შეეძლოს იმ მიზნის მიღწევა რისთვისაც მოხდა სასამართლოების მიერ მისი განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის ნორმატიული საფუძველი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იყო, სასამართლო პრაქტიკაში 2015 წლამდე არ არსებობდა მისი პრაქტიკაში გამოყენების პრეცედენტი.

ამდენად, გამჭოლი პასუხისმგებლობის შემდგომი განვითარებისთვისა და საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, როგორც სასამართლო პრაქტიკა, ასევე სამეცნიერო კვლევების საფუძველზე დოქტრინის განვითარება.

ბიბლიოგრაფია

1. გულაშვილი ნ. კორპორაციული სააფრველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), გვ. 75. საკორპორაციო სამართლის კრებული I, (რედ. ირაკლი ბურდული) 2011.
2. ბურდული ი. ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში) ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2008.
3. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005.
4. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007.
5. ზუბიტაშვილი ნ. პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს-გამონაკლისი შემთხვევები საპუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადისერტაციო ნაშრომი, 2016.
6. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009.
7. კროფტოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი. მე-13 გადაამუშავებული გამოცემა (გადაამუშავა იაკობი ფ. ფონ ჰინდენ მ.), თბილისი, GIZ, IRZ, 2014.
8. მარკუს ლუთერი, სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა, კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება და პასუხისმგებლობა სააქციო საზოგადოებაში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2003.
9. ქირია ა. საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, საკორპორაციო სამართლის კრებული, რედ. ი.ბურდული, 2011.
10. ცერცვაძე ლ. კომპანიის კრედიტორთა დაცვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა, თ. ნინიძის 65წ. საიუბილეო კრებული, 2016.
11. ცერცვაძე ლ. დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) თბილისი, გამ. "იურისტების სამყარო" 2016.
12. ჭანტურია ლ. კანონის მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, ს. ჯორბენაძის 70წ. საიუბილეო კრებული, 1996.
13. ჭანტურია ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006.
14. ჭანტურია ლ. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000.
15. ლადო ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში.
16. ჭანტურია ლ. პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების დარღვევისათვის (სამოსამართლო სამართლის სიახლე), 407. ნაჭყებია გ.-75 საიუბილეო კრებული, გამ. მერიდიანი, თბილისი, 2016.
17. ჯულელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გამ. „სიესტა“, თბილისი 2010.
18. ხუბუა გ. სამართლის თეორია, 2004.

უცხოურ ენაზე:

1. Armour, Hansmann., Kraakman, The Essential Elements of Corporate Law: What is Corporate Law? Discussion Paper No. 643 7/2009. Harvard Law School Cambridge, MA 02138.
2. Arthur Machen, Corporate Perspnality, Harvard Law Review, Vol. 24, No. 4, Part 1, 1911.

3. Avi-Yonah, Reuven S. "The Cyclical Transformations of the Corporate Form: A Historical Perspective on Corporate Social Responsibility." *Del. J. Corp. L.* 30, no. 3 (2005).
4. Carsten Alting, *Piercing the Corporate Veil in American and German Law - Liability of Individuals and Entities: A Comparative View*, 2 *Tulsa J. Comp. & Int'l L.* 187 (1994).
5. *Corporate Personality, International Perspectives Part I*. Tobias Schulz, Germany. DLA Piper.2018.
6. David K. Millon, *Piercing the Corporate Veil, Financial Responsibility, and the Limits of Limited Liability*, 56 *Emory L. J.* 1305 (2007).
7. Dobson, *Lifting the Veil in Four Countries: The Law of Argentina, England, France and the United States*, *International and Comparative Law Quarterly*, Vol. 35. No.4 1986.
8. Douglas G. Smith, *Piercing the Corporate Veil in Regulated Industries*, 2008 *BYU L. Rev.* 1165 (2008),
9. ELIZABETH S. MILLER, *THE LIMITS OF LIMITED LIABILITY: VEIL PIERCING AND OTHER BASES OF PERSONAL LIABILITY OF OWNERS, GOVERNING PERSONS, AND AGENTS OF TEXAS BUSINESS ENTITIES*, 2017.
10. Figueroa Dante, *Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America*, 50 *Duquesne Law Review* 683, 2012.
11. Franklin A. Gevurtz, *Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil*, 76 *Or. L. Rev.* 853 (1997).
12. Jennifer J. Hagan, *THE ALTER-EGO DOCTRINE EXCEPTION IN CALIFORNIA CORPORATE LAW* *Esq. Rev.* July, 2007.
13. Hansmann, Kraakman, Squire, *Law and Rise of the Firm*, *Harvard Law Review*, Vol. 119, No 5, 2006.
14. Harvey Gelb, *Piercing the Corporate Veil—The Undercapitalization Factor*, 59 *Chi.-Kent L. Rev.* 1 (1982).
15. Hayden, Bodie, *The Uncorporation and the Unraveling of “Nexus of Contract” Theory*, *Michigan Law Review*, Vol. 109, 2011.
16. Henry Hansmann, Reinier Kraakman, Richard Squire, *LAW AND THE RISE OF THE FIRM*, *Harvard Law School, Discussion Paper No. 546*, 2/2006.
17. John Dewey, *The Historic Background of Corporate Legal Personality*, *Jale Law Journal*, Vol.35, No. 6 1926.
18. Joseph H. Sommer, *Subsidiary: Doctrine without a Cause?*, 59 *Fordham L. Rev.* 227 (1990).
19. Larry E. Ribstein, *Limited Liability and Theories of the Corporation*, 50 *Md. L. Rev.* 80 (1991)
20. Macey, Jonathan, "FINDING ORDER IN THE MORASS: THE THREE REAL JUSTIFICATIONS FOR PIERCING THE CORPORATE VEIL" (2014). *Faculty Scholarship Series. Paper 4925*.
21. Marcos Ibarguen Segovia, *The Corporate Entity and Piercing The Corporate Veil*, *New York University School of Law*, ID #999-114451, April 7, 1994.
- 22.
23. Margaret A. Sweeney, *Case Comment, Piercing the Corporate Veil in Ohio: The Need for a New Standard following Dombroski v. Wellpoint, Inc.*, 57 *Clev. St. L. Rev.* 954-957 (2009),
24. Mark A. Finklestein, *First National City Bank v. Banco Para El Comercio Exterior de Cuba: Act of State and Choice of Law Aspects of Suing Foreign Governmental Corporations*, 9 *N.C. J. Int'l L. & Com. Reg.* 147 (1983).
25. Mark W. Page, *The Undercapitalized Corporation and Illinois Corporate Veil-Piercing Law*, *Illinois Bar Journal*, July 2000, Vol.88, N 7, P398.
26. Maximilian Schiessl, *The Liability of Corporations and Shareholders for the Capitalization and Obligations of Subsidiaries under German Law*, 7 *Nw. J. Int'l L. & Bus.* 480 (1985-1986).
27. Michael Görtz, *The Federal Court of Justice’s concept for piercing the corporate veil due to destruction of a German Limited Liability Company*, *Client Newsletter* 9/2007.

28. Morrissey, Piercing All the Veils: Applying an Established Doctrine to a New Business Order, Iowa Journal of Corporate Law, [32 Iowa J. Corp. L. 529], 2007, 541.
29. Per Samuelsson, ON THE EVOLUTION OF CORPORATE FORMS, UNIVERSITY OF ILLINOIS LAW REVIEW 2005.
30. Robert B. Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, 76 Cornell L. Rev. 1036 (1991).
31. Stephen M. Bainbridge, The Business Judgment Rule as Abstention Doctrine, 57(1) vanderbilt Law review 83 (2004).
32. Thomas K. Cheng, The Corporate Veil Doctrine Revisited: A Comparative Study of the English and the U.S. Corporate Veil Doctrines, 34 B.C. Int'l & Comp. L. Rev. 329 (2011).
33. Williamson O.E., The Modern Corporation: Origins, Evolution, Attributes, "Journal of Economic Literature Vol. XIX, 1981.
34. William Mitchell Law Review: "Disregard of the Corporate Entity," Vol. 4: Iss. 2, Article 3. (1978).

სტატია:

1. ვაშაკიძე გ. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007.
2. მახარობლიშვილი გ. მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამოიჯვანა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი, N2, 2011, გვ. 100 თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნორმატიული მასალა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

სუსგ, 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1307-1245-2014.
 სუსგ, 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1158-1104-2014.
 სუსგ, 2013 წლის 13 მაისის განჩინება საქმეზე N ას-286-272-2013.
 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება #2/36-7.

უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები:

Anderson v. Abbott, 321 U.S. 349, 357 (1944).
 Aronson v. Price, 644 N.E.2d 864 (Ind. 1995)
 Berkey v. Third Avenue Railway Co., 244 N.Y. 84 (N.Y. 1926)
 Continental Oil Co. v. Pauley Petroleum, Inc., 251 A.2d 824 (Del. 1969)
 Consumer's Co-op v. Olsen 419 N.W.2d 211 (Wis.1998)
 In re Sunbeam Corp., 284 B.R. 355 (Bankr. S.D. N.Y. 2002).
 Kinney Shoe Corp. v. Polan, 939 F.2d 209 (4th Cir. 1991)
 Minifie v. Rowley 187 Cal. 481 (Cal. 1921) • 202 P. 673 Decided Dec 6, 1921.
 Minton V. Cavaney, 56 Cal.2d 576 (Sept. 5, 1961)
 Woodruff Construction, LLC v. Clark, No. 17-1422 (Iowa Ct. App. Aug. 15, 2018).

ინტერნეტ რესურსები:

<http://constcourt.ge>

<http://www.supremecourt.ge>

<https://matsne.gov.ge>

<http://www.parliament.ge>

<http://library.court.ge>

<https://www.uniformlaws.org>

<https://law.justia.com>

<https://www.jstor.org>

<https://caselaw.findlaw.com>

<https://www.courtlistener.com>

<https://casetext.com>

<https://www.iowacourts.gov>